

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

2017 წ. 31 დეკემბერი

მეჩან ანტონი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი „აიდიეს ზორჯომი საქართველო“ და მისი საქმიანობა	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე	7
5	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	21
6	ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები	23
7	ძირითადი საშუალებები	29
8	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	30
9	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება დავალიანება	31
10	ფული და ფულის ეკვივალენტები	31
11	საწესდებო კაპიტალი	31
12	ნასესხები თანხები	32
13	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	33
14	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	33
15	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34
16	ფინანსური დანახარჯები	34
17	მოგების გადასახადი	34
18	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	35
19	კაპიტალის მართვა	36
20	ფინანსური რისკის მართვა	37
21	რეალური ღირებულების გამჟღავნება	39
22	ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით	40
23	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	40
24	მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	41

მეჩან აბუყაი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) სამართლიანად წარადგენს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში ერთად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რისი აუდიტი განვახორციელეთ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, როელიც მოიცავს შემდეგს:

- კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის;
- კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის;
- კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნება, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმეს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშის შემდეგ ნაწილში: *აუდიტორის პასუხისმგებლობა* კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ჯგუფისგან დამოუკიდებლობები ვართ, როგორც ამას ითვალისწინებს *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს* მიერ შემუშავებული *კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის* (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ ჩატარებული მისი აუდიტის ანგარიშს).

PricewaterhouseCoopers Georgia LLC; King David Business Center, 7th floor, #12 M. Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia, Tel: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

გიორგი აბოშვილი

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „მმართველობის ანგარიშგება“.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენ ვალდებული ვართ წავიკითხოთ „მმართველობის ანგარიშგება“ და განვსაზღვროთ, „მმართველობის ანგარიშგება“ ხომ არ არის არსებითად არათანმიმდევრული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული ჩვენი ცოდნისა, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

ამასთან, ჩვენ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ

მეხან ანტუჩი

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლეთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგემოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით ჯგუფმა შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

გიორგი ანტონი

მომზადებულია შპს ფრაისვოთერჰაუსკუპერი-საქართველოსათვის და მისი სახელით (Reg.# SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (Reg.#SARAS-A-506913)

2018 წლის 17 დეკემბერი
საქართველო, თბილისი

მეხან ანგელო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მეხად ანტონი

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	5,568	6,046	6,590
არამატერიალური აქტივები		30	47	6
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	808	788	835
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	Error! Reference source not found.	-	-	88
გრძელვადიანი ჩასათვლედი დღგ		-	3,333	1,349
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,406	10,214	8,868
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგი		33	50	37
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	11,624	5,605	3,076
სხვა საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო ფული და ფულის ეკვივალენტები	10	4,034	653	940
		664	994	3,785
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,355	7,302	7,838
სულ აქტივები		22,761	17,516	16,706
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	3,443	3,443	3,443
გაუნაწილებელი მოგება		2,926	1,797	682
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნილი კაპიტალი		6,369	5,240	4,125
არამაკონტროლებელი წილი		13	13	14
სულ საკუთარი კაპიტალი		6,382	5,253	4,139
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	12	1,567	2,890	4,042
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,567	2,890	4,042
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	12	1,324	1,152	1,022
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	13,488	8,221	7,503
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,812	9,373	8,525
სულ ვალდებულებები		16,379	12,263	12,567
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,761	17,516	16,706

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 5 - 41, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია. 1

გეორგი ანდრეასი

ხელმძღვანელობის სახელით გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2018 წლის 21 დეკემბერს:

შოთა ბარამიძე
გენერალური დირექტორის, გიორგი პავლოვის სახელით,
2018 წლის 13 დეკემბრის მინდობილობის საფუძველზე

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2017	2016
ამონაგები „აგენტის შეთანხმებების“ ფარგლებში გაყიდვებიდან	5	591	3,656
ამონაგები მომსახურებიდან		5,277	4,406
მომსახურების თვითღირებულება	14	(2,510)	(2,342)
მთლიანი მოგება ჩამოსხმის მომსახურებიდან		2,767	2,064
ტრანსპორტირების ხარჯი		(201)	(3,023)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(889)	(882)
სხვა საოპერაციო ხარჯი/(შემოსავალი) - ნეტო		(33)	278
საოპერაციო მოგება			
ფინანსური დანახარჯი	Error! Reference source not found	(1,125)	(556)
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	8	20	(47)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		1,130	1,490
მოგების გადასახადის ხარჯი	Error! Reference source not found	-	(371)
წლის მოგება		1,130	1,119
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,130	1,119
მოგება / (ზარალი) მიკუთვნებადი:			
- კომპანიის მფლობელებზე		1,130	1,120
- არამაკონტროლებელ წილზე		-	(1)
წლის მოგება		1,130	1,119
სულ სრული შემოსავალი / (ზარალი) მიკუთვნებადი:			
- კომპანიის მფლობელებზე		-	-
- არამაკონტროლებელ წილზე		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,130	1,119

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 5 - 41, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია. 3

მეხან ანგარიშგება

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი			არამაკონტროლებელი წილი	სულ
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 2016 წ. 1 იანვრისთვის	3,443	682	4,125	14	4,139
წლის მოგება	-	1,120	1,120	(1)	1,119
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,120	1,120	(1)	1,119
არამაკონტროლებელი წილის შეძენა შვილობილ საწარმოებში	-	(5)	(5)	-	(5)
ნაშთი 2016 წ. 31 დეკემბერს	3,443	1,797	5,240	13	5,253
წლის მოგება	-	1,130	1,130	-	1,130
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,130	1,130	-	1,130
არამაკონტროლებელი წილის შეძენა შვილობილ საწარმოებში	-	(1)	(1)	-	(1)
ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბერს	3,443	2,926	6,369	13	6,382

**ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,130	1,490
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	689	884
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		27	25
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან, შემცირებული		(2)	8
შემოსულობებით			
ფინანსური დანახარჯი	Error! Reference source not found.	1,125	556
სავალუტო სხვაობები		44	(290)
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	8	(20)	47
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,993	2,720
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების (გაზრდა)	9	(8,333)	(4,633)
მარაგის შემცირება/(გაზრდა)		17	(13)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების გაზრდა	13	5,269	1,489
გადასახადების დებიტორული დავალიანებისა და გრძელვადიანი დღგ-ს (გაზრდა)		(48)	(1,980)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		(3,095)	(5,137)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადი		(102)	(2,417)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(213)	(349)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	17
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9)	(65)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(222)	(397)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(6)	23
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	994	3,785
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	664	994

1 ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ (შემდეგში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდეგში „ჯგუფი“).

კომპანია საქართველოში დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404485053.

კომპანია არის სს „ბორჯომის #3 ჩამომსხმელი ქარხნისა“ (#3-ე ქარხანა) და „ბორჯომის #1 ჩამომსხმელი ქარხნის“ (ქარხანა #1) იურიდიულ მემკვიდრეს, რომლებიც კომპანიას 2015 წლის აპრილში შეერწყა.

ორივე, #1-ელ და #3-ე ქარხანას საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. #1-ლი ქარხანა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელდა ამ ქარხნების პრივატიზაცია და შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ („საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის“ სამართლებრივი მემკვიდრე) მფლობელობაში რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის ეტაპები გაიარა. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი 1997 წელს დაიწყო, როდესაც მოდიფიცირდა და გაუმჯობესდა წარმოებული საქონლისა და საწარმოო პროცესების ხარისხი. მეორე ეტაპი 2004 წელს დაიწყო და მის შედეგად #1-ლი ქარხნის საწარმოო სიმძლავრეების მთლიანი განახლება და მოდერნიზება განხორციელდა. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსასხმელი ხაზები და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქარხნის შენობებს.

2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს კომპანიის 100%-ის მფლობელი იყო შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანი“ („მშობელი კომპანია“).

მშობელი კომპანია ფლობს სხვა რამდენიმე შვილობილ კომპანიას საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, ყაზახეთში და სხვა, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან „აიდიეს ბორჯომი გრუპს“ (შემდეგში „ჯგუფი“). ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა „ბორჯომის“ ბრენდის სახელით ნატურალური მინერალური წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი და გადამამუშავებული წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინაში და დსთ-ის სხვა ქვეყნებში. კომპანია „აიდიეს ბორჯომი გრუპის“ წევრია და ჯგუფში ბორჯომის მინერალური წყლის უმსხვილესი მწარმოებელია.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „აიდიეს ბორჯომი ჰოლდინგი“ ფლობდა მშობელი კომპანიის დამტკიცებული და გამოშვებული აქციების 100%-ს. 2016 წლის 20 დეკემბერს შპს „აიდიეს ბორჯომი ჰოლდინგმა“ მშობელი კომპანიის ჩვეულებრივი აქციების 100% მიყიდა შპს „რისსა ინვესთმენტს“ (კვიპროსი).

„სითიფ ჰოლდინგსი“, ლუქსემბურგში დარეგისტრირებული კომპანია, არის კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ის აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 60%-ს (2016 წ. 31 დეკემბერი: 60%, 2016 წ. 1 იანვარი: 60%). კომპანია „სითიფ ჰოლდინგის“ არცერთი საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არ აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 50%-ს ან მეტს.

კომპანიას აქვს ერთადერთი შვილობილი საწარმო - სს „ბორჯომი“, რომელიც თავის მხრივ ფლობს სს „ბორჯომის #2-ე ჩამოსასხმელი ქარხნის“ (#2-ე ქარხანა) აქციების 20%-ს. 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანია სს „ბორჯომის“ აქციების 98.5%-ს ფლობდა (2016: 98.25% და 2016: 97.97%).

კომპანიამ სს „ბორჯომის“ აქციების 93.23% და #2-ე ქარხნის აქციების 5% შპს „ეიბისი ენთერფრაისისგან“ შეიძინა 2015 წლის იანვარში. სს „ბორჯომი“ ქაღალდზე არსებული კომპანიაა და ამ შეძენის ძირითადი დანიშნულება იყო მშობელი კომპანიის დონეზე #2-ე ქარხნის საკუთრების წილის გაზრდა. შეძენის მომენტში მშობელი #2-ე ქარხნის აქციების 75%-ს ფლობდა და ამგვარად, შეძენის ამ გარიგებით #2-ე ქარხანაში მშობელი კომპანიის წილი თითქმის 100%-მდე გაიზარდა. სს „ბორჯომის“ აქციების პირველი

მეხან ანგარიშ

შემდგომი შედეგ #1-მა ქარხანამ და შემდეგ მისმა სამართალმემკვიდრე კომპანიამ განაგრძეს აქციების შეძენა უმცირესობის წილის მქონე აქციონერებისგან, რის შედეგად შვილობილ კომპანიაში წილი 93.23%-დან 98.5%-მდე გაიზარდა.

არც მშობელი კომპანია და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს საწარმოო სიმძლავრეებსა, ჰყავს გამოცდილი პერსონალი და ჩამოსხმის მომსახურებით უზრუნველყოფს შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ ქართულ ფილიალს, „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ („ფილიალი“), შესაბამისი მომსახურების შეთანხმების ფარგლებში.

ამასთან, კომპანია ახორციელებს ფილიალისგან შემდგომი „ბორჯომის“ მინერალური წყლის ექსპორტს უკრაინაში, კერძოდ, საქონელს ყიდის სს „ინდუსტრიალნი ტა დისტრიბუციინი სისტემიზე“ („აიდიეს“), რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა.

1 ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

მანამდე შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ საქონლის ექსპორტს ლიტვაშიც ახორციელებდა, შპს „აიდიეს ბორჯომი ეუროპისთვის“ („აიდიეს ეურ“) მიყიდვის მეშვეობით, რომელიც ასევე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა, თუმცა 2016 წლის ნოემბრიდან „აიდიეს ბორჯომი ეუროპაზე“ გაყიდვები შეწყდა.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას ძირითადად ეწევა შემდეგ მისამართზე: საქართველო, ბორჯომი, თორის ქ. #39.

წარსადგენი ვალუტა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში („USD“).

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველოსი, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყანის საინვესტიციო კლიმატზე. დღეისათვის საქართველოს აქვს კარგი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია. საქართველო აგრძელებდა წინსვლას მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ანგარიშში „ბიზნესის კეთება 2018“, რომლის მიხედვით საქართველო მე-6 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით (190 ქვეყნიდან), 3 ადგილით წაიწია წინ გასული წლის რეიტინგთან შედარებით. ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესდა თითქმის ყველა კატეგორიაში, რაც ადასტურებს მისი, როგორც რეგიონული ლიდერის პოზიციას. საქართველოს ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაზე მაღალი რეიტინგი აქვს. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული მრავალი კვლევის მიხედვით საქართველო ამაყობს ასევე კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით და თავისი ინსტიტუტების მაღალი გამჭვირვალობით.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით მშპ-ს წლიურმა ზრდამ 2017 წელს 4.8% შეადგინა. ზრდა დივერსიფიცირებულია და მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მშენებლობის, ვაჭრობისა და რემონტის, უძრავი ქონების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგების ზრდით.

გიორგი ანგოლი

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემულ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან“ (ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ჯგუფმა ფასს-ები მიიღო ფასს 1-ის - *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება* - შესაბამისად. ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება 2017 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2016 წლის 1 იანვრისთვის და მომდევნო ყველა პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფასს-თან შესაბამისად მომზადებულ თავის პირველ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეფასების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ის მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, მოდიფიცირების გამოყენებით, რაც გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას რეალური ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში განსჯის გამოყენება. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია განმარტებითი შენიშვნაში 5.

ფასს-ების პირველად გამოყენება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არავითარი ფინანსური ანგარიშგება არ მოუმზადებია. ამიტომ, შეჯერება და იმის ახსნა, როგორი გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე, წარმოდგენილი არ არის წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფასს-ზე გადასვლამდე ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც გარკვეულწილად საგადასახადო კანონმდებლობაზე იყო დამყარებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა სავალდებულო გამონაკლისები გამოიყენა სხვა ფასს-ების რეტროსპექტიულად გამოყენების მიმართ.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

ქვემოთ მოცემულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შვილობილი საწარმოები გახლავთ ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, სტრუქტურული საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება,

მეჩან ანტონო

რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე, (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება, და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის, მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შეიღობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შეიღობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არამაკონტროლებელ წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილის სახით. არამაკონტროლებელი წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არამაკონტროლებელი წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება, და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი კომპენსაცია ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტებისა და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შეიღობილი

მეჩაბ ანბიუი

საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნება იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც ირიბად. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

არამაკონტროლებელი წილების შეძენა და გაყიდვა. არამაკონტროლებელი წილის მფლობელებთან ისეთი ოპერაციების აღრიცხვისათვის, რომლებიც არ იწვევენ კონტროლის დაკარგვას, ჯგუფი იყენებს ეკონომიკური საწარმოს მოდელს. ნებისმიერი სხვა შეძენის ღირებულებასა და შეძენილი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას შორის კაპიტალის ოპერაციის სახით აისახება უშუალოდ კაპიტალში. ჯგუფი გაყიდული არასაკონტროლო წილის გაყიდვიდან მიღებულ ანგარიშსწორებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს, როგორც კაპიტალის ოპერაციას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, რომლებზეც ჯგუფ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებენ მათ, და როგორც წესი ჯგუფი მათი ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე ფლობს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიცია აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდით და მათი საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აღიარდეს შეძენის თარიღის შემდეგ ინვესტიციის მიმღების მოგებაში ან ზარალში ინვესტორის წილით. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობით მცირდება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები შემდეგნაირად აღიარდება: (i) ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღირიცხება წლის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის სახით, (ii) სხვა სრულ შემოსავალში ჯგუფის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და მისი წარდგენა ცალკე ხდება, (iii) მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის წილის ყველა სხვა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალში ჯგუფის წილი ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, სხვა ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი დებიტორული დავალიანების ჩათვლით, ჯგუფი არ აღიარებს დამატებით ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას წარმოექმნება მოვალეობები ან გადახდებს განახორციელებს მეკავშირე საწარმოს სახელით.

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება მეკავშირე საწარმოებში ჯგუფის წილის ოდენობამდე; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია წარმოქმნის გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს, ისევე როგორც ჯგუფის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი ("USD"). წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარებში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით.

უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წილის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯებში/(შემოსავალში)“. წილის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები,

მეჩან ანგარიშგება

წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები: აშშ დოლარი (“USD”) 1 = GEL 2.5922 და ევრო (“EUR”) 1 = GEL 3.1044. (2016 წ. 31 დეკემბერი: USD 1 = GEL 2.6468 და 1 EUR = GEL 2.7940; 2016 წ. 1 იანვარი: USD 1 = GEL 2.3949 და EUR 1 = GEL 2.6169).

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანაზღაურებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და აქტივებს, რომელთა დასრულება მიმდინარეობს მომავალში ძირითადი საშუალების სახით გამოყენების მიზნით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანუღირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა საოპერაციო ხარჯებში/(შემოსავალში)-ნეტო“, აღიარდება.

ცვეთა მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე ღირებულების გასანაწილებლად:

მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	3-50 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	2-18 წელი
ავტომობილები	2-10 წელი
სავაჭრო და საოფისე ტექნიკა	2-5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების

გიორგი ანდუკელი

ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს.

შემენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-შენახვის დანახარჯები, ხარჯებში აისახება გაწევისთანავე.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 1-5 წლის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯი აისახება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრულ შემოსავალში, „საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში“ (შენიშვნა 15).

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა და ამორტიზაცია ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენები ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულისების თვალსაზრისით

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ

მეჩან ახმედოვი

ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ მე-20 შენიშვნა.

გარიგების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული ჩამოწერილი გაუფასურების ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა ახლო

ბეჩან ანტონი

მომავალში გაყიდვა აქვს განზრახული ჯგუფს. ჯგუფის სესხები და დებიტორული დავალიანებები მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ „სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს“ და „ფულსა და ფულის ეკვივალენტებს“.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, როდესაც ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (როგორცაა მაგალითად ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები) მათი წარმოქმნის პერიოდში. ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ „სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს“ და „ნასესხებ თანხებს“.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, წარმოებულები და მოგების ან ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, მიმატებული გარიგების დანახარჯები. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

ფინანსური აქტივების (რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები)) გარკვეულ ვადებში შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) ჯგუფს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

გიან ახტყი

ფული და ფულის ეკვივალენტები ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულის და ფულის ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მემკვიდრით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდეგ ისინი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის გამომწვევი მოვლენები“) შედეგად, რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ და რასაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის, საიმედოდ შეფასებად სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და ვადებზე. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, მიუხედავად იმისა მნიშვნელოვანია იგი თუ არა, იგი მოცემულ აქტივს ასახავს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და მათ კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც ჯგუფი ითვალისწინებს იმისათვის, რომ განსაზღვროს გაუფასურებულია თუ არა ფინანსური აქტივი, გახლავთ ვადაგადაცილების მდგომარეობა და დაკავშირებული უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება, გამოიყენება აგრეთვე შემდეგი კრიტერიუმები:

- გადახდა მთლიანად ან ნაწილობრივ არის ვადაგადაცილებული და დაგვიანებული გადახდის ახსნა შეუძლებელია ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული შეფერხებით;
- პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რასაც ადასტურებს ჯგუფის მიერ მოპოვებული მისი ფინანსური ინფორმაცია;
- პარტნიორი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ნაციონალური ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებები უარყოფით გავლენას ახდენს პარტნიორზე, რაც მის მიერ გადახდების განხორციელების სტატუსში აისახება.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასების მიზნებისათვის ფინანსურ აქტივებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების ჯგუფის ფულადი ნაკადები ფასდება ამ აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გადავადდება თანხების დაფარვა წარსულში მომხდარი ზარალის გამომწვევ მოვლენების გამო და ასევე ვადაგადაცილებული თანხების ამოღების ისტორიის საფუძველზე. წარსული გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა გათვალისწინებული იქნეს იმ არსებული პირობების გავლენა,

გიანა ახმეტია

რომლებიც წარსულ პერიოდებში არ ახდენდნენ გავლენას და რათა არ იქნეს გათვალისწინებული წარსულში არსებული იმ პირობების გავლენა, რომლებიც დღეს აღარ არსებობს. ჯგუფი სრულ ანარიცხებს ქმნის 365 დღით ვადაგადაცილებული ყველა დებიტორული დავალიანებისათვის, რადგან წარსული გამოცდილების მიხედვით დებიტორული დავალიანება, რომელიც 365 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ამოუღებადია. 30 დღიდან 365 დღემდე ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანარიცხების შექმნის საფუძველია წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასებული თანხების ამოღებადობა, ისევე როგორც ინდივიდუალური დავალიანების გარემოებები, რასაც რეგულარულად აფასებენ საანგარიშგებო თარიღით არსებული ფაქტებისა და ვითარების საფუძველზე.

თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაისინჯება ან სხვაგვარად მოდიფიცირდება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების გამო, მაშინ გაუფასურების შეფასება ხდება თავდაპირველი, მოდიფიცირებამდე არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. შემდეგ გადასინჯული აქტივის აღიარება შეწყდება და ახალი აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად არის შეცვლილი. როგორც წესი, აღნიშნულის მტკიცებულება გახლავთ არსებითი განსხვავება თავდაპირველი ფულადი ნაკადების და ახალი, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებებს შორის.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებამდე (რაც არ შეიცავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც ჯერ არ არის მიღებული). უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებაში გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლიდან, შემცირებული გირაოს მიღების და გაყიდვის ხარჯებით, მიუხედავად იმისა, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლა.

თუ შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და აღნიშნული შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული მოვლენასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ (როგორიცაა მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მაშინ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება ანარიცხების ანგარიშის კორექტირებით მოცემული წლის მოგება-ზარალის მეშვეობით.

ამოუღებადი აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხის საპირისპიროდ, აქტივის ამოსაღებად ყველა აუცილებელი პროცედურის განხორციელებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში ამოღება დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე მოცემული წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უზრუნველყოფილი არ არის და წარმოიქმნება დაკავშირებული მხარეებისგან საქონლის შესყიდვის შედეგად.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები თანხები ნასესხები თანხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მეჩაბ ანტონი

საოპერაციო იჯარა როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფს მეთჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეთჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეთჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

როდესაც აქტივები იჯარით გაიცემა საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მაშინ საიჯარო დებიტორული დავალიანება წრფივი მეთოდით აღიარდება საიჯარო შემოსავლის სახით, იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი / (კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რაც აღიარდებოდა წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან დაკავშირებული იყო იმ ოპერაციებთან, რომლებიც ასევე სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში აღიარდა იმავე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადია თანხა, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადაიხდებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან მიიღებოდა მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულებების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენდა არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდებოდა იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაში იყო ან შემდეგში შევიდოდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდებოდა ან გამოყენებული იქნებოდა შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდებოდა და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოქმნებოდა იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გადაიფარებოდა, როდესაც არსებობდა მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებული იყო მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებული იყო იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოზე, როდესაც არსებობდა ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

გიან აბუყაძე

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იხვერება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იხვერება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო

მეჩან ახმეტია

შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა მოვალეობები, ყველა გადასახადთან მიმართებით, მათ შორის კორპორაციული მოგების გადასახადი, და ყველა გადასახადის გადამხდელის გადასახადის გადახდები აღირიცხება ერთიან საგადასახადო ანგარიშში. შედეგად, 2016 წლის 1 იანვრისთვის ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნა ნეტო საფუძველზე. შედეგად მიღებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები ანგარიშგებულია, როგორც 'სხვა საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო' ან 'სხვა საგადასახადო გადასახდელები, ნეტო'.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ დღგ უნდა გადაიხადოს ადგილობრივ გაყიდვებზე, ხოლო საექსპორტო გაყიდვები გათავისუფლებულია დღგ-გან. ამგვარად, კომპანია „წინასწარ იხდის“ დღგ-ს ფილიალისგან საქონლის შეძენისას და იმავდროულად გათავისუფლებულია ამ საქონლის ექსპორტისას დღგ-ს გადახდისგან. ამ განსხვავების გამო ჯგუფს დაუგროვდა მნიშვნელოვანი ჩასათვლელი დღგ-ს ნაშთი. ეს ნაშთი გამოიყენება საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი სხვა გადასახადების დასაფარად.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა დღგ-ს აქტივის გამოყენების გეგმა. ამ გეგმის მიზანია GEL 900 ათასი ფულადი სახსრების ამოღება ყოველთვიურად. შედეგად, ჯგუფმა 2017 წელს უკვე ამოიღო GEL 3,600 ათასი (USD 1,414 ათასი, ოპერაციის თარიღით არსებული კურსით გადაყვანისას). ამ გეგმისა და მოსალოდნელი სამომავლო გადასახდელი გადასახადების გათვალისწინებით, ჯგუფი მოელის, რომ დღგ-ს აქტივი მთლიანად ამოიღება 2018 წლის ბოლოსთვის.

მარაგები. მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელსა და სხვა ამოუღებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს, შემცირებული სავაჭრო ფასდათმობებით, ფასდაკლებებითა და მსგავსი მუხლებით, რაც გაწეულ იქნა მარაგის არსებულ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

გიორგი ანგოლი

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება- ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის წესდებით განისაზღვრება კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ცვლილება შეიძლება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა მისი დაფუძნების შემდეგ, #1 და #3 ქარხნების კომპანიასთან შერწყმის შედეგად (1-ლი შენიშვნა).

ნასესხები თანხები ნასესხები თანხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან კვალიფიციური აქტივის შექმნაზე, რომლებიც წარმოადგენენ აქტივებს, რომლის განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მომზადებას მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, პირდაპირ ემატება ამ აქტივების დანახარჯებს მანამ, სანამ ეს აქტივები არსებითად მზად არ იქნება მათი გამიზნული მოხმარების ან გაყიდვისთვის.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის თარიღი, როდესაც (ა) ჯგუფი დანახარჯებს გასწევს განსაკუთრებული აქტივზე (ბ) იგი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს გასწევს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად. კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

ჯგუფი ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება კვალიფიციურ აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის.

დივიდენდები დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდეგი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით

ბეჩაკ ანბეყო

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მოსაკრებელი, დაფუნდებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც ჯგუფი თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა კლიენტს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეული იქნა მომსახურება, მომხმარებელთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში მოცემულ პერიოდში წარმოებულ საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. თითოეული ბოთლის გასაყიდი ფასი განისაზღვრება შეთანხმებით.

საპროცენტო შემოსავლი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით..

ამონაგები აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან. აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მომხმარებელს მიაწვდის საქონელს (დისტრიბუტორს უკრაინაში ან ლიტვაში).

საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება, როდესაც პროდუქცია ტრანსპორტირებული იქნება კონკრეტულ ადგილამდე და მოძველებისა და დანაკარგის რისკები გადაეცემა მომხმარებელს, და ან მომხმარებელი მიიღებს პროდუქციას გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, ან ჯგუფს აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ დაკმაყოფილებულია საქონლის მიღების ყველა კრიტერიუმი. აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების (გასაყიდი ფასი) რეალური ღირებულებით, გაყიდული საქონლის თვითღირებულების (შესყიდვის ფასი), გარეშე. მომწოდებლისგან მომხმარებელამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯი პირდაპირ კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრულ შემოსავალში აისახება „ტრანსპორტირების ხარჯების“ სახით.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ჯგუფის თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის წელს მათთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

მეხან ანგურო

ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს ჯგუფის ხელმძღვანელობამ, ვინც გამოსაცემად დაამტკიცა ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს ახორციელებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას. ბასს 39-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება რეალური ღირებულებების საფუძველზე. როდესაც მსგავსი ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის დასადგენად, ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრა, თუ არასაბაზრო, გამოიყენება განსჯა. განსჯის საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებს შორის მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების პირობები გამჟღავნებულია 23-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 20%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა USD 137 ათასით გაზრდა ან USD 117 ათასით შემცირება (2016: USD 218 ათასით გაზრდა ან USD 150 ათასით შემცირება)

საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები დამოკიდებულია ჯგუფის მიერ კონკრეტული მომხარებლებისგან დავალიანებების ამოღებადობის შეფასებაზე. ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა თუ გაუარესებულია ან ფაქტობრივი დეფოლტები შეფასებულზე უფრო მეტია, მაშინ ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავებული იქნეს შეფასებულისაგან. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანება გაუფასურებულია, მიუხედავად იმისა ეს მნიშვნელოვანია თუ არა, ის ამ დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო

მეხან აბთელი

რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფს მიაკუთვნებს და ამ ჯგუფს კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებულისგან და შესაძლებელია ჯგუფის შეფასებების მომავალში გადასინჯვა, უარყოფითად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე ან თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების საფუძველზე წარმოქმნილ მოლოდინზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანებების თანხების შემთხვევაში ამოუღებელი თანხებისთვის ანარიცხის შექმნა საჭირო არ არის. აღნიშნულ მსჯელობას რამდენიმე ფაქტორი ამყარებს:

- არ არსებობს წარსულში იმ რომელიმე დაკავშირებული მხარის დეფოლტის შემთხვევა, რომელსაც აქტიური ურთიერთობა აქვს ფილიალთან;
- ფინანსური მდგომარეობა „აიდიეს ბორჯომი გრუპში“ ჯანსაღია და არცერთი დაკავშირებული მხარე, რომელსაც აქტიური ურთიერთობა აქვს ფილიალთან, არ განიცდის ფინანსურ სიძნელეებს და/ან არ არსებობს დეფოლტის სხვა ნიშნები.

ხელმძღვანელობა დაკავშირებული მხარეების ფინანსურ მდგომარეობას თითოეული საანგარიშგებო თარიღით განიხილავს, რათა გამოავლინოს დეფოლტის ნიშნები და შეაფასოს თავისი ზემოაღნიშნული განსჯის დასაბუთებულობა.

ამონაგების შეფასება აგენტის შეთანხმებების ფარგლებში. ხელმძღვანელობამ გასჯა გამოიყენა ამონაგების ბრუტო საფუძველზე შეფასებისა და ანგარიშგებისთვის, ნეტო საფუძვლის ნაცვლად და დაადგინა, რომ ამონაგები ფილიალის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) პროდუქციის გაყიდვებიდან უნდა აღირიცხოს შესყიდვის ფასის გარეშე, რადგან ჯგუფი გაყიდვის შეთანხმებაში მოქმედებს აგენტის სახით. იმის განსაზღვრისას, ჯგუფი აგენტის სახით მოქმედებს თუ დამქირავებლის სახით, გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან გამორჩეულია ის, ჯგუფი ძირითადი მოვალეა თუ არა დამკვეთის, გააჩნია თუ არა მარაგთან დაკავშირებული ან საკრედიტო რისკი. გათვალისწინებული იქნა ფაქტი, რომ ჯგუფს არ ყავს გაყიდვების თანამშრომლები და გაყიდვის პირობების (მათ შორის, გასაყიდი ფასები და რაოდენობები) შესახებ ფილიალი პირდაპირ საბოლოო მომხმარებელთან აფორმებს შეთანხმებას.

კომპანია დამქირავებლად რომ ყოფილიყო მიჩნეული, ნაცვლად აგენტისა, 2017 წლის 31 დეკემბრის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მთლიანი ამონაგები იქნებოდა USD 16,146 ათასი (2016: USD 23,323 ათასი), ხოლო რეალიზებული საქონლი თვითღირებულება კი USD 15,555 ათასი (2016: USD 19,668 ათასი).

სამუშაო ვალუტა. ჯგუფის თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტის შერჩევისას გამოყენებულ იქნა განსჯა. „აიდიეს ბორჯომი გრუპის“ ქართული კომპანიების, მათ შორის ჯგუფის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი, ვინაიდან: ა) საწარმოები მნიშვნელოვნადაა ურთიერთდაკავშირებული და უფრო ერთიანი ბიზნესის სახით ოპერირებენ, ვიდრე ავტონომიურად; ბ) ქართული ოპერაციების ამონაგები და ხარჯები დივერსიფიცირებულია მრავალ ქვეყანაში არცერთი ეკონომიკური გარემო არ დომინირებს ამონაგებისა და ხარჯების კუთხით; გ) მეორადი მაჩვენებლები აშშ დოლარზე მიუთითებენ, რადგან ფინანსური საქმიანობის უმეტესი ნაწილი და ფულადი სახსრები აშშ დოლარშია. სხვა ვალუტა რომ ყოფილიყო შერჩეული სამუშაო ვალუტად, მაშინ სავალუტო შემოსულობა/ზარალი სხვა იქნებოდა.

საგადასახადო კანონმდებლობა. როგორც მე-Error! Reference source not found. შენიშვნაში აღინიშნა, საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობა მნიშვნელოვანი ხარისხის ინტერპრეტირებას ექვემდებარება და შეიძლება კითხვები დაისვას საგადასახადო ორგანოების მიერ. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს თითოეული საანგარიშგებო თარიღით. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული

ტიჩაბ ანგერე

ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე მოამზადა, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულების შესრულებას ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პირობებში. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ოპერაციების შედეგები, არსებული განზრახვები და სამომავლო ოპერაციების ანალიზი.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება ჯგუფს ჯერ არ დაუწყია.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (ცვლილებები შევიდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტის ძირითადი საკითხებია:

- მოითხოვება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.
- წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.
- ბასს 39-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფასს 9-ში. ძირითადი ცვლილება გახლავთ ის, რომ საწარმოს მოეთხოვება მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარდგენა სხვა სრულ შემოსავალში.
- ფასს 9-ით შემოღებულია გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი. ეს გახლავთ 'სამეტაპიანი' მიდგომა, რომელიც ეფუძნება

მეხიან ანგარიში

საწყისი აღიარებიდან დაწყებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს, რომ საწარმოებმა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით უნდა აღრიცხონ ზარალი იმ ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას, რომელთა საკრედიტო მდგომარეობა არ არის გაუფასურებული (ან მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის). როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, გაუფასურების შეფასება ხდება მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით. აღნიშნული მოდელი მოიცავს საოპერაციო დონეზე გამარტივებებს საიჯარო და სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის.

- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, აღრიცხვის რისკის მართვასთან უფრო მეტად დასაკავშირებლად. სტანდარტი საწარმოებს უზრუნველყოფს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანით ფასს 9-ში მოცემული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასა და ბასს 39-ის მოთხოვნების გამოყენებას შორის, ყველა ჰეჯირებისათვის, ვინაიდან ამ ეტაპზე ეს სტანდარტი მაკრო ჰეჯირების აღრიცხვას არ ეხება.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე აღნიშნული თარიღით არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის 2018 წლის 1 იანვარს მიღებიდან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებით, გარდა მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებულის (FVPL) კლასიფიკაციის მქონე ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებებისა, რაც მიკუთვნებადია საკრედიტო რისკზე და აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ბასს 39-ის შესაბამისად ყველა სესხი და დებიტორული დავალიანება რეკლასიფიცირებული იქნება ფასს 9-ის შესაბამისად შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, 2018 წლის 1 იანვრისთვის საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტით შემოღებულია ასევე განვრცობილი გამჟღავნების მოთხოვნები და ცვლილებები წარდგენაში. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული განაპირობებს ჯ ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ განმარტებითი შენიშვნების ხასიათისა და მოცულობის ცვლილებას, განსაკუთრებით ახალი სტანდარტის შემოღების წელს.

ფასს 15 - მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით შემოღებულია ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ შემოსავალი უნდა აღიარდეს საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას, გარიგების ფასით. საქონლის ან მომსახურების პაკეტი, რომელიც გამორჩეულია, ცალკე უნდა აღიარდეს, ხოლო საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასდათმობა ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებზე. როდესაც ანაზღაურება ცვალებადია რაიმე მიზეზის გამო, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ მათი ანულირების მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს. კლიენტებთან კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზება უნდა განხორციელდეს და იმ პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ამორტიზება, როდესაც მოიხმარება კონტრაქტებიდან წარმოქმნილი სარგებელი.

მეჩაკ ანტონიუ

ცვლილებები ფასს 15-ში - მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს, ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ცვლილებებით არ იცვლება სტანდარტის საბაზისო პრინციპები, მაგრამ ახსნილია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული. ცვლილებებით ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საქმიანობის შედეგის (საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის გადაცემის დაპირება) მოვალეობის იდენტიფიცირება კონტრაქტში; როგორ უნდა განისაზღვროს ჯგუფი ძირითად საწარმოს წარმოადგენს (საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი) თუ აგენტს (პასუხისმგებელი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებაზე); და როგორ უნდა განისაზღვროს ლიცენზიის მინიჭებიდან ამონაგები დროის მომენტში უნდა აღიარდეს, თუ დროის განმავლობაში. გარდა აღნიშნული ახსნისა, ცვლილებები მოიცავს აგრეთვე ორ დამატებით გათავისუფლებას, რათა შემცირდეს დანახარჯები და სირთულე ჯგუფისთვის, რომელიც პირველად იყენებს ახალ სტანდარტს.

ფასს 15-ში მოცემული გადასვლის დებულებების შესაბამისად ჯგუფმა არჩია გადასვლის გამარტივებული მეთოდი, გადასვლის ეფექტის 2018 წლის 1 იანვარს აღიარებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომელიც იქნება პირველი წელი, როდესაც ჯგუფი გამოიყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი გეგმავს ნებადართული გამარტივებული გარდამავალი პერიოდის პრაქტიკული მეთოდის გამოყენებას. ჯგუფი ფასს 15-ს რეტროსპექტულად გამოიყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც არ არის დასრულებული მისი თავდაპირველი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ის მიღება გამოიწვევს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის ამონაგების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური კონტრაქტების პირობებისა და იმ აფექტების და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობდა ამ თარიღით, გადასვლის გამარტივებული მეთოდის გამოყენების თვალსაზრისით, ფილიალის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღების შედეგად.

ფასს 15-ის მიღების შედეგად მოსალოდნელი ძირითადი ცვლილებები აღწერილია ქვემოთ:

- ხელშეკრულებების ცვლილებების აღრიცხვა,
- იდენტიფიცირებული დამატებითი საქმიანობის შედეგების ვალდებულებები
- ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის აღრიცხვა,
- მომხმარებელთა ერთგულების პროგრამების აღრიცხვა,
- ამონაგების აღიარების ვადების ცვლილება (დროთა განმავლობაში აღიარებიდან დროის მომენტში აღიარებაზე გადასვლა და პირიქით),
- თანხის დაბრუნებების აღრიცხვა,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- კონტრაქტის დადებისთვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის აქტივების და კონტრაქტის ვალდებულებების წარდგენა,
- სხვა.

დასასრულ, ხელმძღვანელობა არ მოელის იმ თანხების შესწორებებს, რომლებიც აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვარს, რაც წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფასს 15-ის საწყისი გამოყენების თარიღს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები.

ბეჩა აბეგო

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი.

მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ბასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარფა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ჯგუფი არ მოელის თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ფასს 22 "უცხოური ვალუტით ოპერაციები და ავანსი" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ინტერპრეტაციაში განხილულია, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ოპერაციის თარიღი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების შესახებ სტანდარტის, ბასს 21, გამოყენებისას. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება როდესაც საწარმო ანაზღაურებას ან იხდის, ან იღებს წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ინტერპრეტაციაში მითითებულია, რომ ოპერაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საწარმო ახორციელებს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების საწყის აღიარებას. თუ ავანსად მრავალი გადახდა ან თანხის მრავალი მიღება განხორციელდა, ინტერპრეტაციით მოითხოვება, რომ საწარმომ ოპერაციის თარიღი განსაზღვროს თითოეული საავანსო ანაზღაურების გადახდის ან ავანსის თანხის მიღებისთვის. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

ფასს 23 „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი

საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვეველობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი იქნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვეველობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვეველობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

მოსალოდნელი არ არის, რომ ქვემოთ მოცემულმა ბუღალტრული აღრიცხვის ახალმა ოფიციალურმა დოკუმენტებმა არსებითი გავლენას იქონიეს ჯგუფზე:

- საქმიანობას შორის - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის იმ თარიღით ან მას შემდეგ დაწყებულ წლიური პერიოდებისათვის, რომელსაც განსაზღვრავს ბასსი).
- ცვლილებები ფასს 2-ში - წილობრივი გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს 9-ის - ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს 4-თან - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ცვლილებები ფასს 4-ში (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის ალტერნატივას აირჩევს).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა – ცვლილებები ბასს 40-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გადახდილი ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

მეჩან ანტონი

- გრძელვადიანი წილი მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობაში - ცვლილებები ბასს 28-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2015-2017 ციკლში - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-ში და ბასს 23 (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება - ცვლილებები ბასს 19-ში (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მეჩან აბტაი

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილებები:

ათასი აშშ დოლარი	მიწა და შენიშვნები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	აგტომობილები	საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	დაუმთავრებელი შენიშვნები	სულ
თვითღირებულება						
2016 წ. 1 იანვარს	6,111	3,743	163	158	5	10,180
დამატება	279	45	2	23	-	349
გადაცემა	5	-	-	-	(5)	-
გასვლა	(24)	(34)	(1)	(7)	-	(66)
2016 წ. 31 დეკემბერს	6,371	3,754	164	174	-	10,463
დამატება	85	95	-	22	11	213
გადაცემა	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	(63)	-	(3)	-	(66)
2016 წ. 31 დეკემბერს	6,456	3,786	164	193	11	10,610
დაგროვილი ცვეთა						
2016 წ. 1 იანვარს	(1,281)	(2,193)	(37)	(79)	-	(3,590)
ცვეთის ხარჯი	(301)	(527)	(25)	(31)	-	(884)
გასვლა	23	26	1	7	-	57
2016 წ. 31 დეკემბერს	(1,559)	(2,694)	(61)	(103)	-	(4,417)
ცვეთის ხარჯი	(312)	(321)	(25)	(31)	-	(689)
გასვლა	-	61	-	3	-	64
2017 წ. 31 დეკემბერს	(1,871)	(2,954)	(86)	(131)	-	(5,042)
საბალანსო ღირებულება						
2016 წ. 1 იანვარს	4,830	1,550	126	79	5	6,590
2016 წ. 31 დეკემბერს	4,812	1,060	103	71	-	6,046
2017 წ. 31 დეკემბერს	4,585	832	78	62	11	5,568

მეჩაი აბგოვილი

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
შენობები	43	43	43
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	2,165	45	44
ავტომობილები	2	2	1
საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	56	30	17
სულ	2,266	120	105

კომპანია არის „აიდიეს ბორჯომი გრუპის“ საწარმოების მიერ აღებული სესხების თანამსესხებელი. აღნიშნული ნასესხები თანხებისათვის უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ჯგუფის ქონების წმინდა საბალანსო ღირებულება:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
შენობები	4,585	4,812	4,830
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	832	1,060	1,550
ავტომობილები	78	103	126
მარკეტინგისა და სავაჭრო მოწყობილობები	62	71	79
დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	11	-	5
სულ	5,568	6,046	6,590

8 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2017 წლის 31 დეკემბერს საქართველოში დაფუძნებულ მეკავშირე საწარმოებში ჯგუფი წილი იყო 24.7% (2016წ. 31 დეკემბერი: 24.65%; 2016 წ. 1 იანვარი: 24.59%).

ჯგუფის მეკავშირე საწარმოა #2 ქარხანა (1-ლი შენიშვნა). ინვესტიციის მიმღების აქციები საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული არ არის და ფასის კოტირებები არ ქვეყნდება.

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
1 იანვარს	788	835
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში/(ზარალში)	20	(47)
31 დეკემბერს	808	788

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცი 2017 წ. 31 დეკემბრის, 2016 წ. 31 დეკემბრის და 2016 წ. 1 იანვრის მდგომარეობით:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
მოკლევადიანი აქტივები	1,982	1,800	1,808
გრძელვადიანი აქტივები	1,459	1,574	1,677
მოკლევადიანი ვალდებულებები	145	158	91
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
ამონაგები	1,445	1,280	1,319
მოგება	80	(178)	(609)

მეხან ანგარიში

9 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება დავალიანება

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაკავშირებულ მხარეებთან (შენიშვნა 23)	11,539	5,565	3,072
სავაჭრო დებიტორული დავალიანება მესამე მხარეებთან	1	1	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ფარგლებში	11,540	5,566	3,072
სხვა დებიტორული დავალიანება გადახდილი ავანსი	- 84	1 38	4 -
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11,624	5,605	3,076

9 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანალიზი, რომელიც გაუფასურებული არ არის:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, დაკავშირებული მხარეები	2,793	687	1,187
კადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული:			
- 90 დღემდე	1,460	1,024	830
- 90 - 180 დღე	1,303	827	694
- 180 - 365 დღე	2,109	2,171	361
- 365 დღეზე მეტი	3,875	857	-
სულ	11,540	5,566	3,072

10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	664	994	3,785
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	664	994	3,785

ფულისა და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი. მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ორ საუკეთესო ქართულ ბანკში, რომელთა Moody's-ს რეიტინგის სისტემით მინიჭებული რეიტინგია Ba3.

11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით კომპანიის საწესდებო კაპიტალია GEL 1, რომელიც სრულად იყო შეტანილი 2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს.

გიან სხტერია

კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი, 2015 წლის 16 იანვარს მშობელმა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის USD 830 ათასამდე გაზრდაზე, ხოლო მეორე იყო #1 ქარხნისა და #3 ქარხნის შერწყმის შედეგი, რის შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა USD 2,612 ათასით და USD 1-ით, შესაბამისად.

12 ნასესხები თანხები

	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
<i>ათასი აშშ დოლარი</i>					
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები თანხების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 23)	USD	12%	1,324	1,152	1,022
სულ ნასესხები თანხები, გადასახდელი ერთ წელიწადში			1,324	1,152	1,022

ვინაიდან სესხები მოკლევადიანია, მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადის გასვლის 2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით განსაზღვრული რეალური ღირებულებებისა.

12 ნასესხები თანხები (გაგრძელება)

ერთი წლის შემდეგ დასაფარი ნასესხები თანხების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
<i>ათასი აშშ დოლარი</i>					
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები თანხების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 23)	USD	12%	2,891	4,042	5,064
გამოკლებული: გრძელვადიანი ნასესხები თანხების მოკლევადიანი ნაწილი			(1,324)	(1,152)	(1,022)
სულ ნასესხები თანხები, გადასახდელი ერთი წლის შემდეგ			1,567	2,890	4,042

აღნიშნული ნასესხები თანხა მიღებულია „აიდიეს ბორჯომი საქართველოსგან“, „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ ქართული ფილიალისგან, რომელსაც ჯგუფი ჩამოსხმის მომსახურებას უწევს. ძირითადი და პროცენტის თანხის კრედიტორული დავალიანება ყოველთვიურად იფარება შესაბამისი

გიორგი აბაშელი

ფილიალისგან მისაღები დებიტორული დავალიანებებით. ამ გადაფარვის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ ცხრილშია მოცემული.

წმინდა ვალის შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ნეტო ვალისა და ფინანსური საქმიანობიდან ჯგუფის ვალდებულებების ყველა ცვლილება, თითოეული წარდგენილი პერიოდისთვის..

ათასი აშშ დოლარი	ნასესხები თანხები
წმინდა ვალი 2016 წლის 1 იანვარს	5,064
ფულადი ნაკადები	-
ფინანსური დანახარჯები (შენიშვნა Error! Reference source not found.)	556
დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანებებით გადაფარვა	(1,578)
წმინდა ვალი 2016 წლის 31 დეკემბერს	4,042
ფულადი ნაკადები	-
ფინანსური დანახარჯები (შენიშვნა Error! Reference source not found.)	424
გადაფარვა დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები დებიტორული დავალიანებით	(1,575)
ნეტო ვალი 2017 წლის 31 დეკემბერს	2,891

13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების წინაშე (შენიშვნა 23)	13,365	8,034	7,325
სულ ფინანსური გადასახდელები სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ფარგლებში	13,365	8,034	7,325
დარიცხული დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	118	157	175
სხვა	5	30	3
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13,488	8,221	7,503

ჯგუფის დაკავშირებული მხარეების წინაშე სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების მთლიანი ნაშთი წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფილიალისგან არსებული აგენტის ურთიერთობის ფარგლებში კრედიტორულ დავალიანებას შესყიდული საქონლისთვის (შენიშვნა 1).

14 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	1,970	1,596

მეჩან ახმეილი

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2017 წლის 31 დეკემბერი

ძირითადი საშუალებების ცვეთა	531	736
სხვა	9	10
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2,510	2,342

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
ოფისთან დაკავშირებული ხარჯები	250	222
ძირითადი საშუალებების ცვეთა	185	173
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	174	157
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	75	55
იჯარის ხარჯი	26	27
პროფესიული მომსახურება*	25	8
კომუნიკაციის ხარჯი	25	26
ქველმოქმედება	39	72
სხვა	90	142
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	889	882

16 ფინანსური დანახარჯები

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხებ თანხებზე (შენიშვნა 23)	424	556
დისკონტირებული ღირებულების ნაწილი	701	-
სულ მოგება-ზარალში აღიარებული ფინანსური დანახარჯები	1,125	556

17 მოგების გადასახადი

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	283
გადავადებული გადასახადის ხელახლა შეფასება საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო	-	88
მოგების გადასახადის ხარჯი	-	371

2016 წელს ჯგუფის მოგების გადასახადის განაკვეთი იყო 15%..

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, როგორც ეს ახსნილია მე-4 შენიშვნაში, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებსა ამ აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ორგანოების მიერ აღიარებას შორის სხვაობა და ამჟამად გამოუყენებელი, გადატანილი საგადასახადო ზარალი და საგადასახადო კრედიტი წარმოქმნის დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზას შორის..

მეჩა ანგარიშები

17 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის 1 იანვარს გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

ათასი აშშ დოლარი	2016 წ. 1 იანვარი
გადავადებული საგადასახადო აქტივები, წარმოქმნილი:	
ძირითადი საშუალებები	87
არამატერიალური აქტივები	1
გადავადებული საგადასახადო აქტივები	88
ნეტო გადავადებული გადასახადის პოზიცია	88

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გადაიფარება, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი ერთი და იმავე ფისკალურ ორგანოსთანაა დაკავშირებული. სათანადო ურთიერთგადაფარვის შედეგად განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, USD 88 ათასი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წ. 1 იანვრის მდგომარეობით.

2016 წლის განმავლობაში გადავადებული გადასახადის ცვლილებები:

ათასი აშშ დოლარი	2016
ნეტო გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები წლის დასაწყისში	88
გადავადებული გადასახადის ხელახლა შეფასება საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო	(88)
ნეტო გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) წლის ბოლოს	-

2016 წლის ხარჯი შეიძლება შემდეგნაირად შეჯერდეს კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებასთან:

ათასი აშშ დოლარი	2016
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე	1,490
მოგების გადასახადის ხარჯი შესაფერისი საგადასახადო განაკვეთებით	224
გადასახადებზე გაგულნა:	
გამოუქვითადი ხარჯების	115
დაუბეგრავი შემოსავლის	(74)
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო გადავადებული გადასახადის	89
ხელახლა შეფასების	
სავალუტო შესწორების	17
მოგების გადასახადის ხარჯი	371

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

გიაჩ ანტონიუ

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

სატრანსფერო ფასების რეგულირება. საქართველოს სატრანსფერო ფასების კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასების პრინციპებს, რომლებიც შემუშავებულია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ. ეს უკანასკნელი საგადასახადო ორგანოებს სატრანსფერო ფასების შესწორებებისა და დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას აძლევს კონტროლირებულ ოპერაციებზე (ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და გარკვეული ტიპის ოპერაციების დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ ეს ოპერაციები ე.წ. „გაშლილი ხელის“ პრინციპით არ ხორციელდება.

კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება ფაქტობრივი ოპერაციების ფასებით. სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების საფუძველზე შესაძლებელია მსგავს სატრანსფერო ფასებთან დაკავშირებით კითხვების დასმა. მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა, შეიძლება ის მნიშვნელოვანი იყოს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისა და/ან საერთო ოპერაციებისათვის.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფასწარმოქმნის პოლიტიკა ე.წ. „გაშლილი ხელის“ პრინციპს შეესაბამება და მან საკმარისი შიდა კონტროლის მექანიზმები აქვს სატრანსფერო ფასების შესახებ ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის.

19 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზანია ჯგუფის უნარის დაცვა, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა

ბიზნესი

დაინტერესებული ხარებისათვის და ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის თვითღირებულების შესამცირებლად.

20 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ თანხებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, ანარიცხებსა და დარიცხვებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი დანიშნულებაა დაფინანსების მოძიება ჯგუფის ოპერაციებისათვის. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები აქვს, როგორიცაა მაგალითად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 10)	664	994	3,785
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 9)	11,540	5,566	3,072
სულ ფინანსური აქტივები	12,204	6,560	6,857
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 13)	13,365	8,034	7,325
ნასესხები თანხები (შენიშვნა 12)	2,891	4,042	5,064
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,256	12,076	12,389

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ძირითადად დაკავშირებული მხარეებისგანაა დასაფარი, მათი საკრედიტო ხარისხი ეჭვგარეშეა და მის მონიტორინგს რეგულარულად ახორციელებს ხელმძღვანელობა (შენიშვნა 5).

ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია საქართველოს 2 საუკეთესო ბანკში და კრედიტის ხარისხის მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება საკრედიტო რეიტინგის განმსაზღვრელი დამოუკიდებელი კომპანიის, Moody's-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით (შენიშვნა 10).

ჯგუფს არა აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებები და ამგვარად, საპროცენტო განაკვეთის მერყეობასთან დაკავშირებული რისკები შეზღუდულია.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია ჯგუფის აქვს დაკავშირებულ მხარეებთან სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან და (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან და (გ) წილობრივი პროდუქტები,

გიორგი ანგოლო

რომელთაც პროცენტი ერიცხებათ (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით გავლენას მოახდენს სავალუტო კურსის ცვლილებები. ჯგუფი გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტებში ახორციელებს. ჯგუფი წარმოებულებს არ იყენებს სავალუტო რისკის მართვისთვის, იმავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს მსგავსი რისკის შემცირებას უცხოურ ვალუტაში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ერთი და იმავე (მეტნაკლებად სტაბილურად) დონეზე მართვით.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი			2016 წ. 1 იანვარი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
GEL	10,189	(13,359)	(3,170)	5,250	(7,369)	(5,076)
EUR	2	-	2	65	-	2,695
ნეტო პოზიცია	10,191	(13,359)	(3,168)	5,315	(7,369)	(2,381)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიჩნეულია, რომ კაპიტალში და არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ წარმოქმნის არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფისსამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
ლარის გამყარება 10%-ით	(317)	(278)	(508)
ლარის გაუფასურება 10%-ით	317	278	508

ტყაჩაშვილი ანდრეას

ევროს გამყარება 10%-ით	-	6	270
ევროს გაუფასურება 10%-ით	-	(6)	(270)

ლიკვიდობის რისკი ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა ვალდებულების დროულად დაფარვას. ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ლიკვიდობის მდგომარეობის მონიტორინგსა და მართვას. ჯგუფში დანერგილია დეტალური ბიუჯეტირებისა და ფულადი სახსრების პროგნოზირების პროცესები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მას სათანადო ხელმისაწვდომი უფლადი სახსრები ჰქონდეს ვალდებულებების დასაფარად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მისი ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ თარიღის გათვალისწინებით, როდესაც ყველაზე ადრე შეიძლება მოეთხოვოს ჯგუფს ანგარიშსწორება. ცხრილი მოიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხების ფულად ნაკადებს.

	1-6 თვე	7 თვე- 1 წელი	1 წელზე მეტი, 2 წელზე ნაკლები	2 წელზე მეტი, 5 წელზე ნაკლები	სულ 1-6 თვე	7 თვე- 1 წელი
<i>ათასი აშშ დოლარი</i>						
2017 წ. 31 დეკემბერს						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	13,365	-	-	-	-	13,365
ნასესხები თანხები	787	787	1,575	133	3,282	
სულ	14,152	787	1,575	133	16,647	
2016 წ. 31 დეკემბერს						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	8,034	-	-	-	-	8,034
ნასესხები თანხები	787	919	1,575	1,707	4,989	
სულ	8,821	919	1,575	1,707	13,023	
2016 წ. 1 იანვარს						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	7,325	-	-	-	-	7,325
ნასესხები თანხები	787	919	1,706	3,282	6,695	
სულ	8,112	919	1,706	3,282	14,020	

21 რეალური ღირებულების გამჟღავნება

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება გამჟღავნებულია ფასს 7-ის - *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები* - და ფასს 13-ის - *რეალური ღირებულების შეფასება - შესაბამისად*. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. რადგან ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების დიდი ნაწილისთვის ადვილად ხელმისაწვდომი აქტიური ბაზარი არ არსებობს, საჭიროა განსჯის გამოყენება რეალური ღირებულების დასადგენად, არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ინსტრუმენტისთვის სპეციფიკური რისკების საფუძველზე. წარმოდგენილი შეფასებები არ მიუთითებს თანხებს, რისი მიღებაც ჯგუფს შეუძლია კონკრეტული ინსტრუმენტის ბაზარზე გაყიდვიდან.

2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს ჯგუფმა შემდეგი მეთოდები და დაშვებები გამოიყენა თითოეული ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, როდესაც პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელი იყო მსგავსი ღირებულების

ბიჩა ანგოლი

შეფასება: ფულისა და ფულის ეკვივალენტების, ერთი წლის განმავლობაში დასაფარი სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებებისა და ბანკის ოვერდრაფტებისა და სესხების რეალური ღირებულება შეფასებულია საბალანსო ღირებულებით, ამ ფინანსური ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო. რეალური ღირებულებები იერარქიაში ისინი კლასიფიცირებულია, როგორც მე-3 დონის რეალური ღირებულებები, დაუკვერვებადი მონაცემების გამო.

21 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

მიჩნეულია, რომ ჯგუფის სესხების, რომელთა დაფარვის ვადა ერთი წლის შემდეგ დადგება, საბალანსო ღირებულება მათ რეალურ ღირებულებას გონივრულად უახლოვდება, რადგან სესხების ნომინალური საპროცენტო განაკვეთები ერთი წლის შემდეგ მიჩნეულია რეალური ღირებულების დასაბუთებულ მიახლოებად, საანგარიშგებო თარიღით მსგავსი საკრედიტო რისკის დონისა და დაფარვის პერიოდის სესხების, გათვალისწინებით.

მიჩნეულია ასევე, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება დასაბუთებულადაა მიახლოებული მათ რეალურ ღირებულებასთან, რადგან ამოუღებელი თანხების ანარიცხები მიიჩნევა საკრედიტო რისკის გავლენის ასახვისთვის საჭირო დისკონტირების დასაბუთებულ შეფასებად.

მიჩნეულია ასევე, რომ ჯგუფის გრძელვადიანი, დაკავშირებულ მხარეების სესხების საბალანსო ღირებულება მათ რეალურ ღირებულებას გონივრულად უახლოვდება, რადგან სესხების ნომინალური საპროცენტო განაკვეთები ერთი წლის შემდეგ მიჩნეულია საბაზრო განაკვეთის დასაბუთებულ მიახლოებად, საანგარიშგებო თარიღით მსგავსი საკრედიტო რისკის დონისა და დაფარვის პერიოდის სესხების გათვალისწინებით. გრძელვადიანი ჯგუფის მიერ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული და მათგან მიღებული სესხები რეალური ღირებულების შეფასების იერარქიის მე-2 დონეს მიეკუთვნება.

22 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისათვის ბასს-ით 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული. ამასთან, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება ქმნის ცალკე კატეგორიას. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი ხვდება დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

23 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები:

ათასი აშშ დოლარი	ურთიერთობა	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	11,539	5,565	3,072

მუხან აბოშვილი

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	13,365	8,034	7,325
სესხები, ერთ წლამდე დაფარვის ვადით	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,324	1,152	1,022
სესხები, ერთი წლის შემდეგ დაფარვის ვადით	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,567	2,890	4,042

დაკავშირებული მხარეების წინაშე სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დასაფარია შესყიდვის განხორციელებიდან ორ თვეში და პროცენტი არ ერიცხება. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთი წარმოქმნილია ჯგუფის მიერ აგენტის ურთიერთობის ფარგლებში საქონლის შესყიდვით, როგორც ეს აღწერილია 1-ელ შენიშვნაში.

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბერს და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

ათასი აშშ დოლარი	ურთიერთობა	2017	2016
ამონაგების აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	591	3,656
ამონაგები ჩამოსხმის მომსახურებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,277	4,406
მზა პროდუქციის შესყიდვა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	15,555	19,668
ფინანსური დანახარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(424)	(556)

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება სრულგანაკვეთიან ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობისთვის 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გახლდათ ძირითადად წლიური ხელფასი და ბონუსები, USD 13 ათასის ოდენობით (2016: USD 13 ათასი)

24 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ამჟამად კომპანიაში საგადასახადო შემოწმებას ატარებს საქართველოს საგადასახადო ორგანო. ისინი ამოწმებენ 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 ივნისამდე პერიოდს. ანგარიშზე ხელმოწერის თარიღით წინასწარი შედეგები ცნობილი არ იყო.

2018 წლის მაისში შეიცვალა ჯგუფის გენერალური დირექტორი..

მეჩან ანგარიშგებ



IDS BORJOMI
GEORGIA

შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება – საქმიანობის მიმოხილვა, 2017 წ.

1. კომპანია, მისი განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა:

ზოგადი ინფორმაცია. შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ („კომპანია“) საქართველოში დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404485053.

კომპანია არის სს „ბორჯომის #3 ჩამომსხმელი ქარხნისა“ (#3-ე ქარხანა) და „ბორჯომის #1 ჩამომსხმელი ქარხნის“ (ქარხანა #1), რომლებიც კომპანიას 2015 წლის აპრილში შეერწყაიურიდიულ მეშვედრე.

ორივე, #1-ელ და #3-ე ქარხანას საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. #1-ლი ქარხანა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელდა ამ ქარხნების პრივატიზაცია და შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ („საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანის“ სამართლებრივი მეშვედრე) მფლობელობაში რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის ეტაპები გაიარა. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი 1997 წელს დაიწყო, როდესაც მოდიფიცირდა და გაუმჯობესდა წარმოებული საქონლისა და საწარმოო პროცესების ხარისხი. მეორე ეტაპი 2004 წელს დაიწყო და მის შედეგად #1-ლი ქარხნის საწარმოო სიმძლავრეების მთლიანი განახლება და მოდერნიზება განხორციელდა. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსასხმელი ხაზები და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქარხნის შენობებს.

კომპანიის ერთადერთი მფლობელია შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანი“ („მშობელი კომპანია“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის უშუალო მშობელ კომპანიას.

შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანი“ სხვა რამდენიმე შვილობილ კომპანიას ფლობს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, ყაზახეთში და სხვა, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან „აიდიეს ბორჯომი გრუპს“ (შემდეგში „ჯგუფი“). ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა „ბორჯომის“ ბრენდის სახელით ნატურალური მინერალური წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი და გადამამუშავებული წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინაში და დსთ-ის სხვა ქვეყნებში. ჯგუფი ჩამოსასხმელ ქარხანას ამუშავებს საქართველოში და სადისტრიბუციო კომპანიები აქვს საქართველოში, ლიტვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ჯგუფი ფლობს ბორჯომის ხეობის წყლის რესურსებისა და საქართველოს სხვა წყაროების გამოყენების ლიცენზიას.

კომპანიას აქვს ერთადერთი შვილობილი საწარმო - სს „ბორჯომი“, რომელიც თავის მხრივ ფლობს სს „ბორჯომის #2-ე ჩამოსასხმელი ქარხნის“ (#2-ე ქარხანა) აქციების 20%-ს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სს „ბორჯომის“ აქციების 98.5%-ს ფლობდა (2016 წ. 31 დეკემბერი: 98.25% და 2016 წ. 1 იანვარი: 97.97%).

კომპანიამ სს „ბორჯომის“ აქციების 93.23% და #2-ე ქარხნის აქციების 5% შპს „ეიბისი ენთერფრაისისგან“ შეიძინა 2015 წლის იანვარში. სს „ბორჯომი“ ქაღალდზე არსებული კომპანიაა და ამ შეძენის ძირითადი დანიშნულება იყო მშობელი კომპანიის დონეზე #2-ე ქარხნის საკუთრების წილის გაზრდა. შეძენის მომენტში მშობელი კომპანია #2-ე ქარხნის აქციების 75%-ს ფლობდა და ამგვარად, შეძენის ამ გარიგებით #2-ე ქარხანაში მშობელი კომპანიის წილი თითქმის 100%-მდე გაიზარდა. სს „ბორჯომის“ აქციების პირველი შეძენის შემდეგ #1-მა ქარხანამ და შემდეგ მისმა სამართალმემკვიდრე

გიან ანგულო

კომპანიამ განაგრძეს აქციების შეძენა უმცირესობის წილის მქონე აქციონერებისგან, რის შედეგადაც შევიღობილ კომპანიაში წილი 93.23%-დან 98.5%-მდე გაიზარდა.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს საწარმოო სიმძლავრეებს, ჰყავს გამოცდილი პერსონალი და ჩამოსხმის მომსახურებით უზრუნველყოფს შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ ქართულ ფილიალს, „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ („ფილიალი“), შესაბამისი მომსახურების შეთანხმების ფარგლებში. შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ მინერალური წყლის პროდუქციის მნიშვნელოვან წილს აწარმოებს.

კომპანია ახორციელებს ფილიალისგან შეძენილი „ბორჯომის“ მინერალური წყლის ექსპორტს უკრაინაში, კერძოდ, საქონელს ყიდის სს „ინდუსტრიალნი ტა დისტრიბუცინი სისტემიზე“ („აიდიეს“), რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა.

ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება). ადრე შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ საქონლის ექსპორტს ლიტვაშიც ახორციელებდა, შპს „აიდიეს ბორჯომი ეუროპისთვის“ („აიდიეს ეურ“) მიყიდვის მეშვეობით, რომელიც ასევე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა, თუმცა 2016 წლის ნოემბრიდან „აიდიეს ბორჯომი ეუროპაზე“ გაყიდვები შეწყდა. კომპანია ფილიალის გაყიდვების აგენტის როლს ასრულებს და წარმოქმნის ამონაგებს, რაც არის სხვაობა გაყიდული მარაგის თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასს შორის.

თუმცა, კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო მაინც ბოთლებში ჩამოსხმის მომსახურებაა, რომელსაც ის ფილიალს უწევს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების ფარგლებში. ჩამოსხმის მომსახურებიდან ამონაგები წარმოიქმნება ფაქტობრივად წარმოებული ბოთლების რაოდენობის საფუძველზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2016 წელთან შედარებით 2017 წელს მომსახურების გაწევიდან ამონაგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზრდამ დაახლოებით 20% შეადგინა.

ამონაგების ზრდა უმთავრესად განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ბორჯომის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე;
- ბაზარზე ახალი პროდუქტების შემოტანა: ბორჯომი თუნუქის ქილაში, ბაკურიანი ციდა ბავშვებისთვის, ლიკანი 1,5 ლ. PET ბოთლებში, და სხვა.

კომპანიის შემოსავალი პირდაპირ არის დაკავშირებული წარმოებული ბოთლების რაოდენობაზე, ხოლო მომსახურების ფასები ერთ დონეზე იქნა შენარჩუნებული ბოლო წელს.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ბორჯომი, თორის ქ. #39.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია აქტიურად ახორციელებს ახალი გენერალური გეგმის შემუშავებას, რომლითაც გათვალისწინებულია კომპანიის სასაწყობო ნაწილის რეკონსტრუქცია და რეორგანიზაცია. პროექტი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია, მაგრამ დამტკიცების შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოები 2019 წლიდან დაიწყება.

გუგუშვილი ანა


3. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი მაჩვენებლები შეჯამებულია შემდეგ ცხრილში:

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
ამონაგები აგენტის შეთანხმების ფარგლებში გაყიდვებიდან	591	3,656
ამონაგები მომსახურებიდან	5,277	4,406
მომსახურების თვითღირებულება	(2,510)	(2,342)
მთლიანი მარჟა	52%	47%
მთლიანი აქტივები	22,761	17,516
საკუთარი კაპიტალი	6,369	5,240

2016 და 2017 წლებში წარმოებული ბოთლების რაოდენობა:



ძირითადი ცვლილებების განმარტება:

1. მომსახურების დანახარჯების ზრდას იწვევს ამონაგების ზრდა (ბოთლებში ჩამოსხმული პროდუქციის რაოდენობა). ამონაგების ზრდა ზემოთ, პირველ პუნქტში არის ახსნილი. კომპანიის მომსახურების თვითღირებულება ძირითადად მოიცავს წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯსა და პერსონალის დანახარჯებს. წარმოების მოცულობის ზრდამ განაპირობა ნამუშევარი საათების გაზრდილი რაოდენობა და ხელფასის დანახარჯების შესაბამისი ზრდა;
2. მთლიანი აქტივების ზრდა განაპირობა ფილიალის სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთის ზრდამ. პროგნოზის მიხედვით აღნიშნული დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანწილად დაიფარება 2018 წელს;
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ დღგ უნდა გადაიხადოს ადგილობრივ გაყიდვებზე, ხოლო საექსპორტო გაყიდვები გათავისუფლებულია დღგ-გან. ამგვარად, კომპანია „წინასწარ იხდის“ დღგ-ს ფილიალისგან საქონლის შეძენისას და იმავდროულად გათავისუფლებულია ამ საქონლის ექსპორტისას დღგ-ს გადახდისგან. ამ განსხვავების გამო ჯგუფს დაუგროვდა მნიშვნელოვანი ჩასათვლელი დღგ-ს ნაშთი. ეს ნაშთი გამოიყენება საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი სხვა გადასახადების დასაფარად.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა დღგ-ს აქტივის გამოყენების გეგმა. ამ გეგმის მიზანია GEL 900 ათასი ფულადი სახსრების ამოღება ყოველთვიურად. შედეგად, ჯგუფმა 2017 წელს

უკვე ამოიღო GEL 3,600 ათასი (USD 1,414 ათასი, ოპერაციის თარიღით არსებული კურსით გადაყვანისას). ამ გეგმისა და მოსალოდნელი სამომავლო გადასახადელი გადასახადების გათვალისწინებით, ჯგუფი მოელის, რომ დღგ-ს აქტივი მთლიანად ამოიღება 2018 წლის ბოლოსთვის.

4. საკუთარი კაპიტალის ზრდა გამოწვეულია 2017 წელს მიღებული წმინდა მოგებით. კომპანიას დივიდენდების განაწილების მწირი ისტორია აქვს;
5. აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან მიღებული ამონაგების შემცირება დაკავშირებულია „აიდიეს ბორჯომი ეუროპაზე“ გაყიდვების შეწყვეტასთან. 2016 წლის ნოემბრიდან დაწყებული კომპანია ექსპორტს მხოლოდ უკრაინაში ახორციელებს;
6. როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები, თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა რაც ძირითადად გამოწვეული იყო ბორჯომის პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნით

არაფინანსური მაჩვენებლები

(i) ურთიერთობა დასაქმებულებთან. შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ თანამშრომლების რაოდენობა მერყეობს 330-დან 350-მდე. კომპანიაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლების დაქირავების კარგად ორგანიზებული პოლიტიკა და კომპანია ქირაობს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე პირებს.

როგორც დამქირავებელი, კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს საჭირო ინსტრუმენტებსა და სათანადო ტრენინგს, რათა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის საუკეთესო მომსახურების გაწევა. კომპანია თანამშრომლებს აძლევს წინსვლის გამორჩეულ შესაძლებლობებს, დადებით სამუშაო გარემოსა და კონკურენტულ ხელფასებს ბეჯითი, მიზანზე ორიენტირებული ადამიანებისათვის, სადაც დასაქმებულის უფლებები კარგად არის დაცული, რის მონიტორინგსაც კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტი ახორციელებს. კომპანიის წარმოება, რაც ბორჯომში მდებარეობს, ძირითადი დამსაქმებელია რეგიონში.

(ii) ურთიერთობები მომწოდებლებთან და კლიენტებთან. კომპანიამ მტკიცე პროფესიული ურთიერთობა ჩამოაყალიბა მომხმარებლებთან, წლების მანძილზე მზრუნველობისა და პროფესიონალიზმის დემონსტრირების მეშვეობით, რამაც გამოიწვია დაბრუნებული საქონლისა და/ან მომხმარებლის უკმაყოფილების შემცირება.

კომპანიის ძირითადი მომწოდებელი და მომხმარებელი დაკავშირებული მხარეებია, თუმცა მათთან ოპერაციები ხორციელდება სათანადო პროფესიული საფუძვლებისა და სათანადო გულისხმიერების შესაბამისად.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა კარგად არის ორგანიზებული და მართული.

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, რათა გაეცნონ საგადასახადო კანონმდებლობის იმ ცვლილებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე.

კომპანიას საგადასახადო ორგანოსთან იშვიათად ჰქონია დავები და წარსულში მასზე არ დაუკისრებიათ მნიშვნელოვანი ჯარიმები და/ან საურავები..

4. დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ბაზარზე წამყვანი პოზიცია და კომპანიის ძლიერი ფინანსური შედეგები განპირობებულია მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორით:

გიან სხეტი

- კომპანიის ზედა რგოლის ხელმძღვანელობა და ჯგუფის სინერჯი: კომპანიის ხელმძღვანელობას ამ დარგში მუშაობის საკმარისი გამოცდილება აქვს და ისინი 100%-ით მონაწილეობენ ფილიალის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, რომ გაეცნონ ბიზნესში მომხდარ ცვლილებებს და შეინარჩუნონ მოქნილობა;
- წარმატებული საქმიანობისა და ჩამოსხმის მომსახურების გამოცდილება.

5. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა

საკრედიტო რისკები. კომპანია ეწევა საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ფინანსურ ზარალს მიაყენებს მეორე მხარეს. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვისა და კონტრაქტის მონაწილეობთან სხვა ისეთი ოპერაციების განხორციელებისას, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოქმნის.

კომპანიის ხელმძღვანელობამ დანერგა კონტროლის პროცედურები და პროცესები, რათა შეენარჩუნებინა დებიტორული დავალიანების ჯანსაღი ნაშთი, გამოევლინა რისკ-ფაქტორები და დროულად მოეხდინა რეაგირება. კომპანიის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნაშთების თითქმის 100% დაკავშირებული მხარეების მიმართ წარმოიქმნება, ამიტომ კომპანია მეტნაკლებად უსაფრთხოდ არის აღნიშნულთან მიმართებით.

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკი შეიძლება იყოს საკრედიტო რისკის კონცენტრაცია და მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ერთადერთ მომხმარებელზე - შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ ქართულ ფილიალზე, „აიდიეს ბორჯომი საქართველოზე“.

საერთო ეკონომიკური სიტუაცია ბაზარზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიას ერთადერთი მომხმარებელი ჰყავს და სპეციალიზდება მხოლოდ „ბორჯომის“ სასმელი და მინერალური წლის წარმოებაზე, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იმ ბაზრებზე, სადაც „ბორჯომის“ პროდუქცია იყიდება, ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის წარმატებული განვითარებისათვის.

შენიშვნა*: კომპანია მოცემულ პერიოდში არ ახორციელებდა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ღონისძიებებს და მას არ უყიდა საკუთარი აქციები.

კომპანიის შვილობილი საწარმო - სს „ბორჯომის წყლები“ ქსელადზე არსებული კომპანიაა და ოპერაციებს არ ახორციელებს, ამგვარად, წინამდებარე ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები ინფორმაციას იძლევა შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ საქმიანობის შედეგების შესახებ.

შოთა ბარამიძე

გენერალური დირექტორის, გიორგი პავლოვის სახელით,

2018 წლის 13 დეკემბრის მინდობილობის საფუძველზე

გეორგი პავლოვი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181548214



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

21.12.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი


თბილისი, მტკვრის ქ. #4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2952228

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

72384764862518



მე, ნოტარიუსი, დავით ჩალათაშვილი,

I, Notary, Davit Chalataashvili,

რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს

Whose notary office is located in:

მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მტკვრის ქ. #4,

4, Mtkvari St, Tbilisi, Georgia,

ვადასტურებ კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მთარგმნელის,

Certify herewith authenticity of the signature of the certified translator – Mr. Merab Akhmeteli,

მერაბ ახმეტელის, დაბადებული 03.11.1987 წელს, პ/ნ 01006018776,

Date of birth: 03.11.1987, personal No. 01006018776, residing at: Digomi Masivi, 3-6b-16, Tbilisi

მცხოვრები: ქ. თბილისი, დიდმის მას. III კვ. კორ. 6ბ, ბ. 16, ხელმოწერის სინამდვილეს.

მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს

The translator is warned about his responsibility for the correctness of the translation and

თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

he guarantees the correctness of the translation.

დამოწმებულია ოთხ ეგზემპლარი. გადახდილია საზღაური: თანახმად სანოტარო მოქმედებათა

შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი

საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების

შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507),

მუხლი 31.3 - 440.0 (ოთხას ორმოცი) ლარი, დღგ 79.20 ლარი - თანახმად საქართველოს საგდასახადო

კოდექსის 169-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების

რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 521.20 (ხუთას ოცდაერთი ლარი და ოცი თეთრი)

ლარი.

Made in 4 copy. Fee paid: in accordance with the Regulation No. 507 of the Government of Georgia dated

December 29th, 2011 On Approval of the Rule of Payment of the Fee for Performance of Notarial Actions and

for the Notary Chamber of Georgia and Terms of Service Provision: Article 31.3 – 440.0 GEL, VAT according to

the Article 169 of the Tax Code of Georgia – 79.20 GEL, fee of registration of notarial act according to article

39.1 of the named regulation – 2 GEL, total – 521.20 GEL.

ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი

Notary Davit Chalataashvili

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო მოქმედების შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შესაძლებელია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-
გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა**

2017 წ. 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ და მისი საქმიანობა	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე	7
5	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	21
6	ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები	23
7	ძირითადი საშუალებები	29
8	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	30
9	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება დავალიანება	31
10	ფული და ფულის ეკვივალენტები	31
11	საწესდებო კაპიტალი	31
12	ნასესხები თანხები	32
13	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	33
14	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	33
15	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34
16	ფინანსური დანახარჯები	34
17	მოგების გადასახადი	34
18	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	35
19	კაპიტალის მართვა	36
20	ფინანსური რისკის მართვა	37
21	რეალური ღირებულების გამჟღავნება	39
22	ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით	40
23	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	40
24	მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	5,568	6,046	6,590
არამატერიალური აქტივები		30	47	6
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	808	788	835
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	Error! Reference source not found.	-	-	88
გრძელვადიანი ჩასათვლედი დღგ		-	3,333	1,349
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,406	10,214	8,868
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგი		33	50	37
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	11,624	5,605	3,076
სხვა საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო		4,034	653	940
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	664	994	3,785
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,355	7,302	7,838
სულ აქტივები		22,761	17,516	16,706
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	3,443	3,443	3,443
გაუნაწილებელი მოგება		2,926	1,797	682
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნილი კაპიტალი		6,369	5,240	4,125
არამაკონტროლებელი წილი		13	13	14
სულ საკუთარი კაპიტალი		6,382	5,253	4,139
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	12	1,567	2,890	4,042
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,567	2,890	4,042
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	12	1,324	1,152	1,022
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	13,488	8,221	7,503
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,812	9,373	8,525
სულ ვალდებულებები		16,379	12,263	12,567
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,761	17,516	16,706

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 5 - 41, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია.

ხელმძღვანელობის სახელით გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2018 წლის 21 დეკემბერს:

შოთა ბარამიძე
გენერალური დირექტორის, გიორგი ჰაველოვის სახელით,
2018 წლის 13 დეკემბრის მინდობილობის საფუძველზე

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2017	2016
ამონაგები „აგენტის შეთანხმებების“ ფარგლებში გაყიდვებიდან	5	591	3,656
ამონაგები მომსახურებიდან		5,277	4,406
მომსახურების თვითღირებულება	14	(2,510)	(2,342)
მთლიანი მოგება ჩამოსხმის მომსახურებიდან		2,767	2,064
ტრანსპორტირების ხარჯი		(201)	(3,023)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(889)	(882)
სხვა საოპერაციო ხარჯი/(შემოსავალი) - ნეტო		(33)	278
საოპერაციო მოგება			
ფინანსური დანახარჯი	Error! Reference source not found	(1,125)	(556)
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	8	20	(47)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		1,130	1,490
მოგების გადასახადის ხარჯი	Error! Reference source not found	-	(371)
წლის მოგება		1,130	1,119
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,130	1,119
მოგება / (ზარალი) მიკუთვნებადი:			
- კომპანიის მფლობელებზე		1,130	1,120
- არამაკონტროლებელ წილზე		-	(1)
წლის მოგება		1,130	1,119
სულ სრული შემოსავალი / (ზარალი) მიკუთვნებადი:			
- კომპანიის მფლობელებზე		-	-
- არამაკონტროლებელ წილზე		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,130	1,119

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი			არამაკონტროლებელი წილი	სულ
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 2016 წ. 1 იანვრისთვის	3,443	682	4,125	14	4,139
წლის მოგება	-	1,120	1,120	(1)	1,119
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,120	1,120	(1)	1,119
არამაკონტროლებელი წილის შეძენა შვილობილ საწარმოებში	-	(5)	(5)	-	(5)
ნაშთი 2016 წ. 31 დეკემბერს	3,443	1,797	5,240	13	5,253
წლის მოგება	-	1,130	1,130	-	1,130
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,130	1,130	-	1,130
არამაკონტროლებელი წილის შეძენა შვილობილ საწარმოებში	-	(1)	(1)	-	(1)
ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბერს	3,443	2,926	6,369	13	6,382

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		1,130	1,490
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	689	884
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		27	25
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან, შემცირებული შემოსულობებით		(2)	8
ფინანსური დანახარჯი	Error! Reference source not found.	1,125	556
სავალუტო სხვაობები		44	(290)
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	8	(20)	47
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,993	2,720
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების (გაზრდა)	9	(8,333)	(4,633)
მარაგის შემცირება/(გაზრდა)		17	(13)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების გაზრდა	13	5,269	1,489
გადასახადების დებიტორული დავალიანებისა და გრძელვადიანი დღგ-ს (გაზრდა)		(48)	(1,980)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		(3,095)	(5,137)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადი		(102)	(2,417)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(213)	(349)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	17
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9)	(65)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(222)	(397)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(6)	23
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	994	3,785
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	664	994

1 ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოსა“ (შემდეგში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდეგში „ჯგუფი“).

კომპანია საქართველოში დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404485053.

კომპანია არის სს „ბორჯომის #3 ჩამომსხმელი ქარხნისა“ (#3-ე ქარხანა) და „ბორჯომის #1 ჩამომსხმელი ქარხნის“ (ქარხანა #1) იურიდიულ მემკვიდრეს, რომლებიც კომპანიას 2015 წლის აპრილში შეეწყო.

ორივე, #1-ელ და #3-ე ქარხანას საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. #1-ლი ქარხანა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელდა ამ ქარხნების პრივატიზაცია და შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ („საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის“ სამართლებრივი მემკვიდრე) მფლობელობაში რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის ეტაპები გაიარა. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი 1997 წელს დაიწყო, როდესაც მოდიფიცირდა და გაუმჯობესდა წარმოებული საქონლისა და საწარმოო პროცესების ხარისხი. მეორე ეტაპი 2004 წელს დაიწყო და მის შედეგად #1-ლი ქარხნის საწარმოო სიმძლავრეების მთლიანი განახლება და მოდერნიზება განხორციელდა. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსასხმელი ხაზები და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქარხნის შენობებს.

2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს კომპანიის 100%-ის მფლობელი იყო შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანია“ („მშობელი კომპანია“).

მშობელი კომპანია ფლობს სხვა რამდენიმე შვილობილ კომპანიას საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, ყაზახეთში და სხვა, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან „აიდიეს ბორჯომი გრუპს“ (შემდეგში „ჯგუფი“). ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა „ბორჯომის“ ბრენდის სახელით ნატურალური მინერალური წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი და გადამუშავებული წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინაში და დსთ-ის სხვა ქვეყნებში. კომპანია „აიდიეს ბორჯომი გრუპის“ წევრია და ჯგუფში ბორჯომის მინერალური წყლის უმსხვილესი მწარმოებელია.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „აიდიეს ბორჯომი ჰოლდინგი“ ფლობდა მშობელი კომპანიის დამტკიცებული და გამოშვებული აქციების 100%-ს. 2016 წლის 20 დეკემბერს შპს „აიდიეს ბორჯომი ჰოლდინგმა“ მშობელი კომპანიის ჩვეულებრივი აქციების 100% მიყიდა შპს „რისსა ინვესტმენტს“ (კვიპროსი).

„სითიფ ჰოლდინგსი“, ლუქსემბურგში დარეგისტრირებული კომპანია, არის კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ის აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 60%-ს (2016 წ. 31 დეკემბერი: 60%, 2016 წ. 1 იანვარი: 60%). კომპანია „სითიფ ჰოლდინგის“ არცერთი საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არ აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 50%-ს ან მეტს.

კომპანიას აქვს ერთადერთი შვილობილი საწარმო - სს „ბორჯომი“, რომელიც თავის მხრივ ფლობს სს „ბორჯომის #2-ე ჩამოსასხმელი ქარხნის“ (#2-ე ქარხანა) აქციების 20%-ს. 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანია სს „ბორჯომის“ აქციების 98.5%-ს ფლობდა (2016: 98.25% და 2016: 97.97%).

კომპანიამ სს „ბორჯომის“ აქციების 93.23% და #2-ე ქარხნის აქციების 5% შპს „ეიზის ენთერფრაისისგან“ შეიძინა 2015 წლის იანვარში. სს „ბორჯომი“ ქალაქზე არსებული კომპანიაა და ამ შეძენის ძირითადი დანიშნულება იყო მშობელი კომპანიის დონეზე #2-ე ქარხნის საკუთრების წილის გაზრდა. შეძენის მომენტში მშობელი #2-ე ქარხნის აქციების 75%-ს ფლობდა და ამგვარად, შეძენის ამ გარიგებით #2-ე ქარხანაში მშობელი კომპანიის წილი თითქმის 100%-მდე გაიზარდა. სს „ბორჯომის“ აქციების პირველი

შემდგომ შემდეგ #1-მა ქარხანამ და შემდეგ მისმა სამართალმემკვიდრე კომპანიამ განაგრძეს აქციების შეძენა უმცირესობის წილის მქონე აქციონერებისგან, რის შედეგად შვილობილ კომპანიაში წილი 93.23%-დან 98.5%-მდე გაიზარდა.

არც მშობელი კომპანია და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს საწარმოო სიმძლავრეებსა, ჰყავს გამოცდილი პერსონალი და ჩამოსხმის მომსახურებით უზრუნველყოფს შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ ქართულ ფილიალს, „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ („ფილიალი“), შესაბამისი მომსახურების შეთანხმების ფარგლებში.

ამასთან, კომპანია ახორციელებს ფილიალისგან შემდგომი „ბორჯომის“ მინერალური წყლის ექსპორტს უკრაინაში, კერძოდ, საქონელს ყიდის სს „ინდუსტრიალნი ტა დისტრიბუციონი სისტემიზე“ („აიდიეს“), რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა.

1 ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

მანამდე შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ საქონლის ექსპორტს ლიტვაშიც ახორციელებდა, შპს „აიდიეს ბორჯომი ეუროპისთვის“ („აიდიეს ეურ“) მიყიდვის მეშვეობით, რომელიც ასევე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა, თუმცა 2016 წლის ნოემბრიდან „აიდიეს ბორჯომი ეუროპაზე“ გაყიდვები შეწყდა.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას ძირითადად ეწევა შემდეგ მისამართზე: საქართველო, ბორჯომი, თორის ქ. #39.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში („USD“).

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველოსი, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყანის საინვესტიციო კლიმატზე. დღეისათვის საქართველოს აქვს კარგი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია. საქართველო აგრძელებდა წინსვლას მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ანგარიშში „ბიზნესის კეთება 2018“, რომლის მიხედვით საქართველო მე-6 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით (190 ქვეყნიდან), 3 ადგილით წაიწია წინ გასული წლის რეიტინგთან შედარებით. ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესდა თითქმის ყველა კატეგორიაში, რაც ადასტურებს მისი, როგორც რეგიონული ლიდერის პოზიციას. საქართველოს ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაზე მაღალი რეიტინგი აქვს. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული მრავალი კვლევის მიხედვით საქართველო ამაყობს ასევე კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით და თავისი ინსტიტუტების მაღალი გამჭვირვალობით.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით მშპ-ს წლიურმა ზრდამ 2017 წელს 4.8% შეადგინა. ზრდა დივერსიფიცირებულია და მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მშენებლობის, ვაჭრობისა და რემონტის, უძრავი ქონების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგების ზრდით.

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემულ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან“ (ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ჯგუფმა ფასს-ები მიიღო ფასს 1-ის - *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება* - შესაბამისად. ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება 2017 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2016 წლის 1 იანვრისთვის და მომდევნო ყველა პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფასს-თან შესაბამისად მომზადებულ თავის პირველ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეფასების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ის მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, მოდიფიცირების გამოყენებით, რაც გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას რეალური ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში განსჯის გამოყენება. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია განმარტებითი შენიშვნაში 5.

ფასს-ების პირველად გამოყენება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არავითარი ფინანსური ანგარიშგება არ მოუზადებია. ამიტომ, შეჯერება და იმის ახსნა, როგორი გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე, წარმოდგენილი არ არის წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფასს-ზე გადასვლამდე ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც გარკვეულწილად საგადასახადო კანონმდებლობაზე იყო დამყარებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა სავალდებულო გამოწვევები გამოიყენა სხვა ფასს-ების რეტროსპექტიულად გამოყენების მიმართ.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

ქვემოთ მოცემულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოები გახლავთ ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, სტრუქტურული საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება,

რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე, (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება, და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის, მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შეილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შემენის მეთოდი გამოიყენება შეილობილი საწარმოების შემენის აღრიცხვისათვის. შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შემენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არამაკონტროლებელ წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შემენილი საწარმოს წმინდა აქტივების არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილის სახით. არამაკონტროლებელი წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შემენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არამაკონტროლებელი წილის და შემენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს მოხდა თუ არა ყველა შემენილი აქტივს და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება, და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შემენილ საწარმოში გადახდილი კომპენსაცია ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტებისა და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შემენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შემენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შეილობილი

საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნება იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც ირიბად. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

არამაკონტროლებელი წილების შეძენა და გაყიდვა. არამაკონტროლებელი წილის მფლობელებთან ისეთი ოპერაციების აღრიცხვისათვის, რომლებიც არ იწვევენ კონტროლის დაკარგვას, ჯგუფი იყენებს ეკონომიკური საწარმოს მოდელს. ნებისმიერი სხვა შეძენის ღირებულებასა და შეძენილი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას შორის კაპიტალის ოპერაციის სახით აისახება უშუალოდ კაპიტალში. ჯგუფი გაყიდული არასაკონტროლო წილის გაყიდვიდან მიღებულ ანგარიშსწორებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს, როგორც კაპიტალის ოპერაციას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, რომლებზეც ჯგუფ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებენ მათ, და როგორც წესი ჯგუფი მათი ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე ფლობს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიცია აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდით და მათი საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აღიარდეს შეძენის თარიღის შემდეგ ინვესტიციის მიმღების მოგებაში ან ზარალში ინვესტორის წილით. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობით მცირდება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები შემდეგნაირად აღიარდება: (i) ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღირიცხება წლის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის სახით, (ii) სხვა სრულ შემოსავალში ჯგუფის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და მისი წარდგენა ცალკე ხდება, (iii) მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის წილის ყველა სხვა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალში ჯგუფის წილი ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, სხვა ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი დებიტორული დავალიანების ჩათვლით, ჯგუფი არ აღიარებს დამატებით ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას წარმოექმნება მოვალეობები ან გადახდებს განახორციელებს მეკავშირე საწარმოს სახელით.

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება მეკავშირე საწარმოებში ჯგუფის წილის ოდენობამდე; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია წარმოქმნის გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს, ისევე როგორც ჯგუფის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი (“USD”). წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარებში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით.

უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯებში/(შემოსავალში)“. წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები,

წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები: აშშ დოლარი (“USD”) 1 = GEL 2.5922 და ევრო (“EUR”) 1 = GEL 3.1044. (2016 წ. 31 დეკემბერი: USD 1 = GEL 2.6468 და 1 EUR = GEL 2.7940; 2016 წ. 1 იანვარი: USD 1 = GEL 2.3949 და EUR 1 = GEL 2.6169).

4 მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და აქტივებს, რომელთა დასრულება მიმდინარეობს მომავალში ძირითადი საშუალების სახით გამოყენების მიზნით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანუღირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა საოპერაციო ხარჯებში/(შემოსავალში)-ნეტო“, აღიარდება.

ცვეთა მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე ღირებულების გასანაწილებლად:

მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	3-50 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	2-18 წელი
ავტომობილები	2-10 წელი
სავაჭრო და საოფისე ტექნიკა	2-5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების

ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს.

შემძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-შენახვის დანახარჯები, ხარჯებში აისახება გაწევისთანავე.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 1-5 წლის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯი აისახება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრულ შემოსავალში, „საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში“ (შენიშვნა 15).

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა და ამორტიზაციაა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოველენები ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულისების თვალსაზრისით

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ

ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ მე-20 შენიშვნა.

გარიგების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული ჩამოწერილი გაუფასურების ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სრულდს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა ახლო

მომავალში გაყიდვა აქვს განზრახული ჯგუფს. ჯგუფის სესხები და დებიტორული დავალიანებები მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ „სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს“ და „ფულსა და ფულის ეკვივალენტებს“.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, როდესაც ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (როგორცაა მაგალითად ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები) მათი წარმოქმნის პერიოდში. ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ „სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს“ და „ნასესხებ თანხებს“.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, წარმოებულები და მოგების ან ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, მიმატებული გარიგების დანახარჯები. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

ფინანსური აქტივების (რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები)) გარკვეულ ვადებში შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) ჯგუფს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულის და ფულის ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდეგ ისინი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის გამომწვევი მოვლენები“) შედეგად, რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ და რასაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის, საიმედოდ შეფასებად სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და ვადებზე. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, მიუხედავად იმისა მნიშვნელოვანია იგი თუ არა, იგი მოცემულ აქტივს ასახავს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და მათ კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც ჯგუფი ითვალისწინებს იმისათვის, რომ განსაზღვროს გაუფასურებულია თუ არა ფინანსური აქტივი, გახლავთ ვადაგადაცილების მდგომარეობა და დაკავშირებული უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება, გამოიყენება აგრეთვე შემდეგი კრიტერიუმები:

- გადახდა მთლიანად ან ნაწილობრივ არის ვადაგადაცილებული და დაგვიანებული გადახდის ახსნა შეუძლებელია ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული შეფერხებით;
- პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რასაც ადასტურებს ჯგუფის მიერ მოპოვებული მისი ფინანსური ინფორმაცია;
- პარტნიორი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ნაციონალური ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებები უარყოფით გავლენას ახდენს პარტნიორზე, რაც მის მიერ გადახდების განხორციელების სტატუსში აისახება.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასების მიზნებისათვის ფინანსურ აქტივებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების ჯგუფის ფულადი ნაკადები ფასდება ამ აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გადავადდება თანხების დაფარვა წარსულში მომხდარი ზარალის გამომწვევუ მოვლენების გამო და ასევე ვადაგადაცილებული თანხების ამოღების ისტორიის საფუძველზე. წარსული გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა გათვალისწინებული იქნეს იმ არსებული პირობების გავლენა,

რომლებიც წარსულ პერიოდებში არ ახდენდნენ გავლენას და რათა არ იქნეს გათვალისწინებული წარსულში არსებული იმ პირობების გავლენა, რომლებიც დღეს აღარ არსებობს. ჯგუფი სრულ ანარიცხებს ქმნის 365 დღით ვადაგადაცილებული ყველა დებიტორული დავალიანებისათვის, რადგან წარსული გამოცდილების მიხედვით დებიტორული დავალიანება, რომელიც 365 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ამოუღებადია. 30 დღიდან 365 დღემდე ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანარიცხების შექმნის საფუძველია წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასებული თანხების ამოღებადობა, ისევე როგორც ინდივიდუალური დავალიანების გარემოებები, რასაც რეგულარულად აფასებენ საანგარიშგებო თარიღით არსებული ფაქტებისა და ვითარების საფუძველზე.

თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაისინჯება ან სხვაგვარად მოდიფიცირდება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების გამო, მაშინ გაუფასურების შეფასება ხდება თავდაპირველი, მოდიფიცირებამდე არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. შემდეგ გადასინჯული აქტივის აღიარება შეწყდება და ახალი აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად არის შეცვლილი. როგორც წესი, აღნიშნულის მტკიცებულება გახლავთ არსებითი განსხვავება თავდაპირველი ფულადი ნაკადების და ახალი, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებებს შორის.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებამდე (რაც არ შეიცავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც ჯერ არ არის მიღებული). უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებაში გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლიდან, შემცირებული გირაოს მიღების და გაყიდვის ხარჯებით, მიუხედავად იმისა, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების მეგირავნის საკუთრებაში გადასვლა.

თუ შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და აღნიშნული შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული მოვლენასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ (როგორიცაა მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მაშინ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება ანარიცხების ანგარიშის კორექტირებით მოცემული წლის მოგება-ზარალის მეშვეობით.

ამოუღებადი აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხის საპირისპიროდ, აქტივის ამოსაღებად ყველა აუცილებელი პროცედურის განხორციელებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში ამოღება დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე მოცემული წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უზრუნველყოფილი არ არის და წარმოიქმნება დაკავშირებული მხარეებისგან საქონლის შესყიდვის შედეგად.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები თანხები ნასესხები თანხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფს მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

4 მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

როდესაც აქტივები იჯარით გაიცემა საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მაშინ საიჯარო დებიტორული დავალიანება წრფივი მეთოდით აღიარდება საიჯარო შემოსავლის სახით, იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი / (კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რაც აღიარდებოდა წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან დაკავშირებული იყო იმ ოპერაციებთან, რომლებიც ასევე სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში აღიარდა იმავე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადია თანხა, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადაიხდებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან მიიღებოდა მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულებების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენდა არც სადრიცხო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდებოდა იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაში იყო ან შემდეგში შევიდოდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდებოდა ან გამოყენებული იქნებოდა შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდებოდა და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნებოდა იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გადაიფარებოდა, როდესაც არსებობდა მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებული იყო მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებული იყო იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არსებობდა ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო

შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღე 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღე-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა მოვალეობები, ყველა გადასახადთან მიმართებით, მათ შორის კორპორაციული მოგების გადასახადი, და ყველა გადასახადის გადამხდელის გადასახადის გადახდები აღირიცხება ერთიან საგადასახადო ანგარიშში. შედეგად, 2016 წლის 1 იანვრისთვის ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნა ნეტო საფუძველზე. შედეგად მიღებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები ანგარიშგებულია, როგორც 'სხვა საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო' ან 'სხვა საგადასახადო გადასახდელები, ნეტო'.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ დღე უნდა გადაიხადოს ადგილობრივ გაყიდვებზე, ხოლო საექსპორტო გაყიდვები გათავისუფლებულია დღე-გან. ამგვარად, კომპანია „წინასწარ იხდის“ დღე-ს ფილიალისგან საქონლის შეძენისას და იმავდროულად გათავისუფლებულია ამ საქონლის ექსპორტისას დღე-ს გადახდისგან. ამ განსხვავების გამო ჯგუფს დაუგროვდა მნიშვნელოვანი ჩასათვლელი დღე-ს ნაშთი. ეს ნაშთი გამოიყენება საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი სხვა გადასახადების დასაფარად.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა დღე-ს აქტივის გამოყენების გეგმა. ამ გეგმის მიზანია GEL 900 ათასი ფულადი სახსრების ამოღება ყოველთვიურად. შედეგად, ჯგუფმა 2017 წელს უკვე ამოიღო GEL 3,600 ათასი (USD 1,414 ათასი, ოპერაციის თარიღით არსებული კურსით გადაყვანისას). ამ გეგმისა და მოსალოდნელი სამომავლო გადასახდელი გადასახადების გათვალისწინებით, ჯგუფი მოელის, რომ დღე-ს აქტივი მთლიანად ამოიღება 2018 წლის ბოლოსთვის.

მარაგები. მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელსა და სხვა ამოუღებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს, შემცირებული სავაჭრო ფასდათმობებით, ფასდაკლებებითა და მსგავსი მუხლებით, რაც გაწეულ იქნა მარაგის არსებულ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება- ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის წესდებით განისაზღვრება კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ცვლილება შეიძლება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა მისი დაფუძნების შემდეგ, #1 და #3 ქარხნების კომპანიასთან შერწყმის შედეგად (1-ლი შენიშვნა).

ნასესხები თანხები ნასესხები თანხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან კვალიფიციური აქტივის შექმნაზე, რომლებიც წარმოადგენენ აქტივებს, რომლის განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მომზადებას მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, პირდაპირ ემატება ამ აქტივების დანახარჯებს მანამ, სანამ ეს აქტივები არსებითად მზად არ იქნება მათი გამოყენებული მოხმარების ან გაყიდვისთვის.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის თარიღი, როდესაც (ა) ჯგუფი დანახარჯებს გასწევს განსაკუთრებული აქტივზე (ბ) იგი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს გასწევს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამოყენებული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად. კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამოყენებული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

ჯგუფი ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება კვალიფიციურ აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის.

დივიდენდები დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდეგი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მოსაკრებელი, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც ჯგუფი თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა კლიენტს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეული იქნა მომსახურება, მომხმარებელთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში მოცემულ პერიოდში წარმოებული საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. თითოეული ბოთლის გასაყიდი ფასი განისაზღვრება შეთანხმებით.

საპროცენტო შემოსავლი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით..

ამონაგები აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან. აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მომხმარებელს მიაწვდის საქონელს (დისტრიბუტორს უკრაინაში ან ლიტვაში).

საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება, როდესაც პროდუქცია ტრანსპორტირებული იქნება კონკრეტულ ადგილამდე და მოძველებისა და დანაკარგის რისკები გადაეცემა მომხმარებელს, და ან მომხმარებელი მიიღებს პროდუქციას გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, ან ჯგუფს აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ დაკმაყოფილებულია საქონლის მიღების ყველა კრიტერიუმი. აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების (გასაყიდი ფასი) რეალური ღირებულებით, გაყიდული საქონლის თვითღირებულების (შესყიდვის ფასი), გარეშე. მომწოდებლისგან მომხმარებელამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯი პირდაპირ კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრულ შემოსავალში აისახება „ტრანსპორტირების ხარჯების“ სახით.

მომუშავეთა გასამრჯელოება. ჯგუფის თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის წელს მათთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს ჯგუფის ხელმძღვანელობამ, ვინც გამოსაცემად დაამტკიცა ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს ახორციელებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას. ბასს 39-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება რეალური ღირებულებების საფუძველზე. როდესაც მსგავსი ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის დასადგენად, ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრა, თუ არასაბაზრო, გამოიყენება განსჯა. განსჯის საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებს შორის მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების პირობები გამჟღავნებულია 23-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 20%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა USD 137 ათასით გაზრდა ან USD 117 ათასით შემცირება (2016: USD 218 ათასით გაზრდა ან USD 150 ათასით შემცირება)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები დამოკიდებულია ჯგუფის მიერ კონკრეტული მომხარებლებისგან დავალიანებების ამოღებადობის შეფასებაზე. ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა თუ გაუარესებულია ან ფაქტობრივი დეფოლტები შეფასებულზე უფრო მეტია, მაშინ ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავებული იქნეს შეფასებულისაგან. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანება გაუფასურებულია, მიუხედავად იმისა ეს მნიშვნელოვანია თუ არა, ის ამ დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო

რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფს მიაკუთვნებს და ამ ჯგუფს კოლექტურად შეაფასებს გაუფასურებაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებულისგან და შესაძლებელია ჯგუფის შეფასებების მომავალში გადასინჯვა, უარყოფითად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე ან თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების საფუძველზე წარმოქმნილ მოლოდინზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანებების თანხების შემთხვევაში ამოუღებელი თანხებისთვის ანარიცხის შექმნა საჭირო არ არის. აღნიშნულ მსჯელობას რამდენიმე ფაქტორი ამყარებს:

- არ არსებობს წარსულში იმ რომელიმე დაკავშირებული მხარის დეფოლტის შემთხვევა, რომელსაც აქტიური ურთიერთობა აქვს ფილიალთან;
- ფინანსური მდგომარეობა „აიდიის ბორჯომი გრუპში“ ჯანსაღია და არცერთი დაკავშირებული მხარე, რომელსაც აქტიური ურთიერთობა აქვს ფილიალთან, არ განიცდის ფინანსურ სიმძნელებს და/ან არ არსებობს დეფოლტის სხვა ნიშნები.

ხელმძღვანელობა დაკავშირებული მხარეების ფინანსურ მდგომარეობას თითოეული საანგარიშგებო თარიღით განიხილავს, რათა გამოავლინოს დეფოლტის ნიშნები და შეაფასოს თავისი ზემოაღნიშნული განსჯის დასაბუთებულობა.

ამონაგების შეფასება აგენტის შეთანხმებების ფარგლებში. ხელმძღვანელობამ გასჯა გამოიყენა ამონაგების ბრუტო საფუძველზე შეფასებისა და ანგარიშგებისთვის, ნეტო საფუძვლის ნაცვლად და დაადგინა, რომ ამონაგები ფილიალის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) პროდუქციის გაყიდვებიდან უნდა აღირიცხოს შესყიდვის ფასის გარეშე, რადგან ჯგუფი გაყიდვის შეთანხმებაში მოქმედებს აგენტის სახით. იმის განსაზღვრისას, ჯგუფი აგენტის სახით მოქმედებს თუ დამქირავებლის სახით, გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან გამორჩეულია ის, ჯგუფი ძირითადი მოვალეა თუ არა დამკვეთის, გააჩნია თუ არა მარაგთან დაკავშირებული ან საკრედიტო რისკი. გათვალისწინებული იქნა ფაქტი, რომ ჯგუფს არ ყავს გაყიდვების თანამშრომლები და გაყიდვის პირობების (მათ შორის, გასაყიდი ფასები და რაოდენობები) შესახებ ფილიალი პირდაპირ საბოლოო მომხმარებელთან აფორმებს შეთანხმებას.

კომპანია დამქირავებლად რომ ყოფილიყო მიჩნეული, ნაცვლად აგენტისა, 2017 წლის 31 დეკემბრის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მთლიანი ამონაგები იქნებოდა USD 16,146 ათასი (2016: USD 23,323 ათასი), ხოლო რეალიზებული საქონლი თვითღირებულება კი USD 15,555 ათასი (2016: USD 19,668 ათასი).

სამუშაო ვალუტა. ჯგუფის თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტის შერჩევისას გამოყენებულ იქნა განსჯა. „აიდიის ბორჯომი გრუპის“ ქართული კომპანიების, მათ შორის ჯგუფის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი, ვინაიდან: ა) საწარმოები მნიშვნელოვნადაა ურთიერთდაკავშირებული და უფრო ერთიანი ბიზნესის სახით ოპერირებენ, ვიდრე ავტონომიურად; ბ) ქართული ოპერაციების ამონაგები და ხარჯები დივერსიფიცირებულია მრავალ ქვეყანაში არცერთი ეკონომიკური გარემო არ დომინირებს ამონაგებისა და ხარჯების კუთხით; გ) მეორადი მაჩვენებლები აშშ დოლარზე მიუთითებენ, რადგან ფინანსური საქმიანობის უმეტესი ნაწილი და ფულადი სახსრები აშშ დოლარშია. სხვა ვალუტა რომ ყოფილიყო შერჩეული სამუშაო ვალუტად, მაშინ სავალუტო შემოსულობა/ზარალი სხვა იქნებოდა.

საგადასახადო კანონმდებლობა. როგორც მე-**Error! Reference source not found.** შენიშვნაში აღინიშნა, საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობა მნიშვნელოვანი ხარისხის ინტერპრეტირებას ექვემდებარება და შეიძლება კითხვები დაისვას საგადასახადო ორგანოების მიერ. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს თითოეული საანგარიშგებო თარიღით. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა საგადასახადებთან დაკავშირებული

ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე მოამზადა, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულების შესრულებას ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პირობებში. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ოპერაციების შედეგები, არსებული განზრახვები და სამომავლო ოპერაციების ანალიზი.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება ჯგუფს ჯერ არ დაუწყია.

ფას 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (ცვლილებები შევიდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტის ძირითადი საკითხებია:

- მოითხოვება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.
- წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.
- ბასს 39-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფას 9-ში. ძირითადი ცვლილება გახლავთ ის, რომ საწარმოს მოეთხოვება მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარდგენა სხვა სრულ შემოსავალში.
- ფას 9-ით შემოღებულია გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი. ეს გახლავთ 'სამეტაპიანი' მიდგომა, რომელიც ეფუძნება

საწყისი აღიარებიდან დაწყებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს, რომ საწარმოებმა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით უნდა აღრიცხოთ ზარალი იმ ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას, რომელთა საკრედიტო მდგომარეობა არ არის გაუფასურებული (ან მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის). როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, გაუფასურების შეფასება ხდება მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით. აღნიშნული მოდელი მოიცავს საოპერაციო დონეზე გამარტივებებს საიჯარო და სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის.

- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, აღრიცხვის რისკის მართვასთან უფრო მეტად დასაკავშირებლად. სტანდარტი საწარმოებს უზრუნველყოფს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანით ფასს 9-ში მოცემული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასა და ბასს 39-ის მოთხოვნების გამოყენებას შორის, ყველა ჰეჯირებისათვის, ვინაიდან ამ ეტაპზე ეს სტანდარტი მაკრო ჰეჯირების აღრიცხვას არ ეხება.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე აღნიშნული თარიღით არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის 2018 წლის 1 იანვარს მიღებიდან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებით, გარდა მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებულის (FVPL) კლასიფიკაციის მქონე ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებებისა, რაც მიკუთვნებადი საკრედიტო რისკზე და აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ბასს 39-ის შესაბამისად ყველა სესხი და დებიტორული დავალიანება რეკლასიფიცირებული იქნება ფასს 9-ის შესაბამისად შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, 2018 წლის 1 იანვრისთვის საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტით შემოღებულია ასევე განვრცობილი გამჟღავნების მოთხოვნები და ცვლილებები წარდგენაში. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული განაპირობებს ჯ ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ განმარტებითი შენიშვნების ხასიათისა და მოცულობის ცვლილებას, განსაკუთრებით ახალი სტანდარტის შემოღების წელს.

ფასს 15 - მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით შემოღებულია ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ შემოსავალი უნდა აღიარდეს საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას, გარიგების ფასით. საქონლის ან მომსახურების პაკეტი, რომელიც გამორჩეულია, ცალკე უნდა აღიარდეს, ხოლო საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასდათმობა ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებზე. როდესაც ანაზღაურება ცვალებადია რაიმე მიზეზის გამო, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ მათი ანულისების მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს. კლიენტებთან კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზება უნდა განხორციელდეს და იმ პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ამორტიზება, როდესაც მოხმარება კონტრაქტებიდან წარმოქმნილი სარგებელი.

ცვლილებები ფასს 15-ში - მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს, ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ცვლილებებით არ იცვლება სტანდარტის საბაზისო პრინციპები, მაგრამ ახსნილია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული. ცვლილებებით ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საქმიანობის შედეგის (საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის გადაცემის დაპირება) მოვალეობის იდენტიფიცირება კონტრაქტში; როგორ უნდა განისაზღვროს ჯგუფი ძირითად საწარმოს წარმოადგენს (საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი) თუ აგენტს (პასუხისმგებელი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებაზე); და როგორ უნდა განისაზღვროს ლიცენზიის მინიჭებიდან ამონაგები დროის მომენტში უნდა აღიარდეს, თუ დროის განმავლობაში. გარდა აღნიშნული ახსნისა, ცვლილებები მოიცავს აგრეთვე ორ დამატებით გათავისუფლებას, რათა შემცირდეს დანახარჯები და სირთულე ჯგუფისთვის, რომელიც პირველად იყენებს ახალ სტანდარტს.

ფასს 15-ში მოცემული გადასვლის დებულებების შესაბამისად ჯგუფმა არჩია გადასვლის გამარტივებული მეთოდი, გადასვლის ეფექტის 2018 წლის 1 იანვარს აღიარებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომელიც იქნება პირველი წელი, როდესაც ჯგუფი გამოიყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი გეგმავს ნებადართული გამარტივებული გარდამავალი პერიოდის პრაქტიკული მეთოდის გამოყენებას. ჯგუფი ფასს 15-ს რეტროსპექტულად გამოიყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც არ არის დასრულებული მისი თავდაპირველი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ის მიღება გამოიწვევს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის ამონაგების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური კონტრაქტების პირობებისა და იმ აფექტების და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობდა ამ თარიღით, გადასვლის გამარტივებული მეთოდის გამოყენების თვალსაზრისით, ფილიალის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღების შედეგად.

ფასს 15-ის მიღების შედეგად მოსალოდნელი ძირითადი ცვლილებები აღწერილია ქვემოთ:

- ხელშეკრულებების ცვლილებების აღრიცხვა,
- იდენტიფიცირებული დამატებითი საქმიანობის შედეგების ვალდებულებები
- ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის აღრიცხვა,
- მომხმარებელთა ერთგულების პროგრამების აღრიცხვა,
- ამონაგების აღიარების ვადების ცვლილება (დროთა განმავლობაში აღიარებიდან დროის მომენტში აღიარებაზე გადასვლა და პირიქით),
- თანხის დაბრუნებების აღრიცხვა,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- კონტრაქტის დადებისთვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის აქტივების და კონტრაქტის ვალდებულებების წარდგენა,
- სხვა.

დასასრულ, ხელმძღვანელობა არ მოელის იმ თანხების შესწორებებს, რომლებიც აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვარს, რაც წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფასს 15-ის საწყისი გამოყენების თარიღს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი.

მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ბასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ჯგუფი არ მოელის თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ფასს 22 "უცხოური ვალუტით ოპერაციები და ავანსი" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ინტერპრეტაციაში განხილულია, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ოპერაციის თარიღი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების შესახებ სტანდარტის, ბასს 21, გამოყენებისას. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება როდესაც საწარმო ანაზღაურებას ან იხდის, ან იღებს წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ინტერპრეტაციაში მითითებულია, რომ ოპერაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საწარმო ახორციელებს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების საწყის აღიარებას. თუ ავანსად მრავალი გადახდა ან თანხის მრავალი მიღება განხორციელდა, ინტერპრეტაციით მოითხოვება, რომ საწარმომ ოპერაციის თარიღი განსაზღვროს თითოეული საავანსო ანაზღაურების გადახდის ან ავანსის თანხის მიღებისთვის. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

ფასს 23 „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი

საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვეველობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შესწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი საგადასახადოს მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვეველობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვეველობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

მოსალოდნელი არ არის, რომ ქვემოთ მოცემულმა ბუღალტრული აღრიცხვის ახალმა ოფიციალურმა დოკუმენტებმა არსებითი გავლენას იქონიოს ჯგუფზე:

- საქმიანობას შორის - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის იმ თარიღით ან მას შემდეგ დაწყებულ წლიური პერიოდებისათვის, რომელსაც განსაზღვრავს ბასსი).
- ცვლილებები ფასს 2-ში - წილობრივი გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს 9-ის - ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს 4-თან - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ცვლილებები ფასს 4-ში (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის ალტერნატივას აირჩევს).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა – ცვლილებები ბასს 40-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გადახდილი ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფას 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- გრძელვადიანი წილი მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობაში - ცვლილებები ბასს 28-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2015-2017 ციკლში - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-ში და ბასს 23 (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება - ცვლილებები ბასს 19-ში (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილებები:

ათასი აშშ დოლარი	მიწა და შენობები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	ავტომობილები	საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება						
2016 წ. 1 იანვარს	6,111	3,743	163	158	5	10,180
დამატება	279	45	2	23	-	349
გადაცემა	5	-	-	-	(5)	-
გასვლა	(24)	(34)	(1)	(7)	-	(66)
2016 წ. 31 დეკემბერს	6,371	3,754	164	174	-	10,463
დამატება	85	95	-	22	11	213
გადაცემა	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	(63)	-	(3)	-	(66)
2016 წ. 31 დეკემბერს	6,456	3,786	164	193	11	10,610
დაგროვილი ცვეთა						
2016 წ. 1 იანვარს	(1,281)	(2,193)	(37)	(79)	-	(3,590)
ცვეთის ხარჯი	(301)	(527)	(25)	(31)	-	(884)
გასვლა	23	26	1	7	-	57
2016 წ. 31 დეკემბერს	(1,559)	(2,694)	(61)	(103)	-	(4,417)
ცვეთის ხარჯი	(312)	(321)	(25)	(31)	-	(689)
გასვლა	-	61	-	3	-	64
2017 წ. 31 დეკემბერს	(1,871)	(2,954)	(86)	(131)	-	(5,042)
საბალანსო ღირებულება						
2016 წ. 1 იანვარს	4,830	1,550	126	79	5	6,590
2016 წ. 31 დეკემბერს	4,812	1,060	103	71	-	6,046
2017 წ. 31 დეკემბერს	4,585	832	78	62	11	5,568

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების თვითღრუბულება:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
შენობები	43	43	43
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	2,165	45	44
ავტომობილები	2	2	1
საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	56	30	17
სულ	2,266	120	105

კომპანია არის „აიდიეს ბორჯომი გრუპის“ საწარმოების მიერ აღებული სესხების თანამსესხებელი. აღნიშნული ნასესხები თანხებისათვის უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ჯგუფის ქონების წმინდა საბალანსო ღირებულება:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
შენობები	4,585	4,812	4,830
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	832	1,060	1,550
ავტომობილები	78	103	126
მარკეტინგისა და სავაჭრო მოწყობილობები	62	71	79
დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	11	-	5
სულ	5,568	6,046	6,590

8 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2017 წლის 31 დეკემბერს საქართველოში დაფუძნებულ მეკავშირე საწარმოებში ჯგუფი წილი იყო 24.7% (2016წ. 31 დეკემბერი: 24.65%; 2016 წ. 1 იანვარი: 24.59%).

ჯგუფის მეკავშირე საწარმოა #2 ქარხანა (1-ლი შენიშვნა). ინვესტიციის მიმღების აქციები საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული არ არის და ფასის კოტირებები არ ქვეყნდება.

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
1 იანვარს	788	835
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში/(ზარალში)	20	(47)
31 დეკემბერს	808	788

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცი 2017 წ. 31 დეკემბრის, 2016 წ. 31 დეკემბრის და 2016 წ. 1 იანვრის მდგომარეობით:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
მოკლევადიანი აქტივები	1,982	1,800	1,808
გრძელვადიანი აქტივები	1,459	1,574	1,677
მოკლევადიანი ვალდებულებები	145	158	91
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
ამონაგები	1,445	1,280	1,319
მოგება	80	(178)	(609)

9 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება დავალიანება

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაკავშირებულ მხარეებთან (შენიშვნა 23)	11,539	5,565	3,072
სავაჭრო დებიტორული დავალიანება მესამე მხარეებთან	1	1	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ფარგლებში	11,540	5,566	3,072
სხვა დებიტორული დავალიანება	-	1	4
გადახდილი ავანსი	84	38	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11,624	5,605	3,076

9 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანალიზი, რომელიც გაუფასურებული არ არის:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, დაკავშირებული მხარეები	2,793	687	1,187
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული:			
- 90 დღემდე	1,460	1,024	830
- 90 - 180 დღე	1,303	827	694
- 180 - 365 დღე	2,109	2,171	361
- 365 დღეზე მეტი	3,875	857	-
სულ	11,540	5,566	3,072

10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	664	994	3,785
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	664	994	3,785

ფულისა და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი. მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ორ საუკეთესო ქართულ ბანკში, რომელთა Moody's-ს რეიტინგის სისტემით მინიჭებული რეიტინგია Ba3.

11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით კომპანიის საწესდებო კაპიტალია GEL 1, რომელიც სრულად იყო შეტანილი 2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი, 2015 წლის 16 იანვარს მშობელმა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის USD 830 ათასამდე გაზრდაზე, ხოლო მეორე იყო #1 ქარხნისა და #3 ქარხნის შერწყმის შედეგი, რის შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა USD 2,612 ათასით და USD 1-ით, შესაბამისად.

12 ნასესხები თანხები

	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
<i>ათასი აშშ დოლარი</i>					
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები თანხების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 23)	USD	12%	1,324	1,152	1,022
სულ ნასესხები თანხები, გადასახდელი ერთ წელიწადში			1,324	1,152	1,022

ვინაიდან სესხები მოკლევადიანია, მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადის გასვლის 2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით განსაზღვრული რეალური ღირებულებებისა.

12 ნასესხები თანხები (გაგრძელება)

ერთი წლის შემდეგ დასაფარი ნასესხები თანხების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
<i>ათასი აშშ დოლარი</i>					
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები თანხების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 23)	USD	12%	2,891	4,042	5,064
გამოკლებული: გრძელვადიანი ნასესხები თანხების მოკლევადიანი ნაწილი			(1,324)	(1,152)	(1,022)
სულ ნასესხები თანხები, გადასახდელი ერთი წლის შემდეგ			1,567	2,890	4,042

აღნიშნული ნასესხები თანხა მიღებულია „აიდიეს ბორჯომი საქართველოსგან“, „აიდიეს ბორჯომი ბევრიჯის კომპანის“ ქართული ფილიალისგან, რომელსაც ჯგუფი ჩამოსხმის მომსახურებას უწევს. ძირითადი და პროცენტის თანხის კრედიტორული დავალიანება ყოველთვიურად იფარება შესაბამისი

ფილიალისგან მისაღები დებიტორული დავალიანებებით. ამ გადაფარვის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ ცხრილშია მოცემული.

წმინდა ვალის შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ნეტო ვალისა და ფინანსური საქმიანობიდან ჯგუფის ვალდებულებების ყველა ცვლილება, თითოეული წარდგენილი პერიოდისთვის..

ათასი აშშ დოლარი	ნასესხები თანხები
წმინდა ვალი 2016 წლის 1 იანვარს	5,064
ფულადი ნაკადები	-
ფინანსური დანახარჯები (შენიშვნა Error! Reference source not found.)	556
დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანებებით გადაფარვა	(1,578)
წმინდა ვალი 2016 წლის 31 დეკემბერს	4,042
ფულადი ნაკადები	-
ფინანსური დანახარჯები (შენიშვნა Error! Reference source not found.)	424
გადაფარვა დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები დებიტორული დავალიანებით	(1,575)
ნეტო ვალი 2017 წლის 31 დეკემბერს	2,891

13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების წინაშე (შენიშვნა 23)	13,365	8,034	7,325
სულ ფინანსური გადასახდელები სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ფარგლებში	13,365	8,034	7,325
დარიცხული დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	118	157	175
სხვა	5	30	3
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13,488	8,221	7,503

ჯგუფის დაკავშირებული მხარეების წინაშე სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების მთლიანი ნაშთი წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფილიალისგან არსებული აგენტის ურთიერთობის ფარგლებში კრედიტორულ დავალიანებას შესყიდული საქონლისთვის (შენიშვნა 1).

14 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	1,970	1,596

ძირითადი საშუალებების ცვეთა	531	736
სხვა	9	10
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2,510	2,342

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
ოფისთან დაკავშირებული ხარჯები	250	222
ძირითადი საშუალებების ცვეთა	185	173
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	174	157
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	75	55
იჯარის ხარჯი	26	27
პროფესიული მომსახურება*	25	8
კომუნიკაციის ხარჯი	25	26
ქველმოქმედება	39	72
სხვა	90	142
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	889	882

16 ფინანსური დანახარჯები

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხებ თანხებზე (შენიშვნა 23)	424	556
დისკონტირებული ღირებულების ნაწილი	701	-
სულ მოგება-ზარალში აღიარებული ფინანსური დანახარჯები	1,125	556

17 მოგების გადასახადი

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	283
გადავადებული გადასახადის ხელახლა შეფასება საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო	-	88
მოგების გადასახადის ხარჯი	-	371

2016 წელს ჯგუფის მოგების გადასახადის განაკვეთი იყო 15%..

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, როგორც ეს ახსნილია მე-4 შენიშვნაში, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებსა ამ აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ორგანოების მიერ აღიარებას შორის სხვაობა და ამჟამად გამოუყენებელი, გადატანილი საგადასახადო ზარალი და საგადასახადო კრედიტი წარმოქმნის დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზას შორის..

17 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის 1 იანვარს გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

ათასი აშშ დოლარი	2016 წ. 1 იანვარი
გადავადებული საგადასახადო აქტივები, წარმოქმნილი:	
ძირითადი საშუალებები	87
არამატერიალური აქტივები	1
გადავადებული საგადასახადო აქტივები	88
ნეტო გადავადებული გადასახადის პოზიცია	88

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გადაიფარება, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი ერთი და იმავე ფისკალურ ორგანოსთანაა დაკავშირებული. სათანადო ურთიერთგადაფარვის შედეგად განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, USD 88 ათასი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წ. 1 იანვრის მდგომარეობით.

2016 წლის განმავლობაში გადავადებული გადასახადის ცვლილებები:

ათასი აშშ დოლარი	2016
ნეტო გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები წლის დასაწყისში	88
გადავადებული გადასახადის ხელახლა შეფასება საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო	(88)
ნეტო გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) წლის ბოლოს	-

2016 წლის ხარჯი შეიძლება შემდეგნაირად შეჯერდეს კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებასთან:

ათასი აშშ დოლარი	2016
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე	1,490
მოგების გადასახადის ხარჯი შესაფერისი საგადასახადო განაკვეთებით	224
გადასახადებზე გავლენა:	
გამოუქვითადი ხარჯების	115
დაუბეგრავი შემოსავლის	(74)
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო გადავადებული გადასახადის	89
ხელახლა შეფასების	
სავალუტო შესწორების	17
მოგების გადასახადის ხარჯი	371

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

გარმოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

სატრანსფერო ფასების რეგულირება. საქართველოს სატრანსფერო ფასების კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასების პრინციპებს, რომლებიც შემუშავებულია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ. ეს უკანასკნელი საგადასახადო ორგანოებს სატრანსფერო ფასების შესწორებებისა და დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას აძლევს კონტროლირებულ ოპერაციებზე (ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და გარკვეული ტიპის ოპერაციების დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ ეს ოპერაციები ე.წ. „გაშლილი ხელის“ პრინციპით არ ხორციელდება.

კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება ფაქტობრივი ოპერაციების ფასებით. სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების საფუძველზე შესაძლებელია მსგავს სატრანსფერო ფასებთან დაკავშირებით კითხვების დასმა. მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა, შეიძლება ის მნიშვნელოვანი იყოს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისა და/ან საერთო ოპერაციებისათვის.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფასწარმოქმნის პოლიტიკა ე.წ. „გაშლილი ხელის“ პრინციპს შეესაბამება და მან საკმარისი შიდა კონტროლის მექანიზმები აქვს სატრანსფერო ფასების შესახებ ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის.

19 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზანია ჯგუფის უნარის დაცვა, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა

დაინტერესებული ხარეებისათვის და ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის თვითღირებულების შესამცირებლად.

20 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ თანხებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, ანარიცხებსა და დარიცხვებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი დანიშნულებაა დაფინანსების მოძიება ჯგუფის ოპერაციებისათვის. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები აქვს, როგორცაა მაგალითად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 10)	664	994	3,785
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 9)	11,540	5,566	3,072
სულ ფინანსური აქტივები	12,204	6,560	6,857
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 13)	13,365	8,034	7,325
ნასესხები თანხები (შენიშვნა 12)	2,891	4,042	5,064
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,256	12,076	12,389

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ძირითადად დაკავშირებული მხარეებისგანაა დასაფარი, მათი საკრედიტო ხარისხი ეჭვგარეშეა და მის მონიტორინგს რეგულარულად ახორციელებს ხელმძღვანელობა (შენიშვნა 5).

ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია საქართველოს 2 საუკეთესო ბანკში და კრედიტის ხარისხის მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება საკრედიტო რეიტინგის განმსაზღვრელი დამოუკიდებელი კომპანიის, Moody's-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით (შენიშვნა 10).

ჯგუფს არა აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებები და ამგვარად, საპროცენტო განაკვეთის მერყეობასთან დაკავშირებული რისკები შეზღუდულია.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია ჯგუფის აქვს დაკავშირებულ მხარეებთან სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან და (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან და (გ) წილობრივი პროდუქტები,

რომელთაც პროცენტი ერიცხებათ (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით გავლენას მოახდენს სავალუტო კურსის ცვლილებები. ჯგუფი გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტებში ახორციელებს. ჯგუფი წარმოებულებს არ იყენებს სავალუტო რისკის მართვისთვის, იმავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს მსგავსი რისკის შემცირებას უცხოურ ვალუტაში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ერთი და იმავე (მეტნაკლებად სტაბილურად) დონეზე მართვით.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს:

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი					
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია			
GEL	10,189	(13,359)	(3,170)			
EUR	2	-	2			
ნეტო პოზიცია	10,191	(13,359)	(3,168)			

ათასი აშშ დოლარი	2016 წ. 31 დეკემბერი			2016 წ. 1 იანვარი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
GEL	5,250	(8,029)	(2,779)	2,293	(7,369)	(5,076)
EUR	65	-	65	2,695	-	2,695
ნეტო პოზიცია	5,315	(8,029)	(2,714)	4,988	(7,369)	(2,381)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიჩნეულია, რომ კაპიტალში და არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ წარმოქმნის არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი აშშ დოლარი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
ლარის გამყარება 10%-ით	(317)	(278)	(508)
ლარის გაუფასურება 10%-ით	317	278	508

ევროს გამყარება 10%-ით	-	6	270
ევროს გაუფასურება 10%-ით	-	(6)	(270)

ლიკვიდობის რისკი ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა ვალდებულების დროულად დაფარვას. ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ლიკვიდობის მდგომარეობის მონიტორინგსა და მართვას. ჯგუფში დანერგილია დეტალური ბიუჯეტირებისა და ფულადი სახსრების პროგნოზირების პროცესები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მას სათანადო ხელმისაწვდომი უფლადი სახსრები ჰქონდეს ვალდებულებების დასაფარად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მისი ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ თარიღის გათვალისწინებით, როდესაც ყველაზე ადრე შეიძლება მოეთხოვოს ჯგუფს ანგარიშსწორება. ცხრილი მოიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხების ფულად ნაკადებს.

ათასი აშშ დოლარი	1-6 თვე	7 თვე- 1 წელი	1 წელზე მეტ, 2 წელზე ნაკლები	2 წელზე მეტ, 5 წელზე ნაკლები	სულ 1-6 თვე	7 თვე- 1 წელი
2017 წ. 31 დეკემბერს						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	13,365	-	-	-	-	13,365
ნასესხები თანხები	787	787	1,575	133		3,282
სულ	14,152	787	1,575	133		16,647
2016 წ. 31 დეკემბერს						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	8,034	-	-	-	-	8,034
ნასესხები თანხები	787	919	1,575	1,707		4,989
სულ	8,821	919	1,575	1,707		13,023
2016 წ. 1 იანვარს						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	7,325	-	-	-	-	7,325
ნასესხები თანხები	787	919	1,706	3,282		6,695
სულ	8,112	919	1,706	3,282		14,020

21 რეალური ღირებულების გამყდავნება

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება გამყდავებულია ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - და ფასს 13-ის - რეალური ღირებულების შეფასება - შესაბამისად. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. რადგან ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების დიდი ნაწილისთვის ადვილად ხელმისაწვდომი აქტიური ბაზარი არ არსებობს, საჭიროა განსჯის გამოყენება რეალური ღირებულების დასადგენად, არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ინსტრუმენტისთვის სპეციფიკური რისკების საფუძველზე. წარმოდგენილი შეფასებები არ მიუთითებს თანხებს, რისი მიღებაც ჯგუფს შეუძლია კონკრეტული ინსტრუმენტის ბაზარზე გაყიდვიდან.

2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 1 იანვარს ჯგუფმა შემდეგი მეთოდები და დაშვებები გამოიყენა თითოეული ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, როდესაც პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელი იყო მსგავსი ღირებულების

შეფასება: ფულისა და ფულის ეკვივალენტების, ერთი წლის განმავლობაში დასაფარი სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებებისა და ბანკის ოვერდრაფტებისა და სესხების რეალური ღირებულება შეფასებულია საბალანსო ღირებულებით, ამ ფინანსური ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო. რეალური ღირებულებს იერარქიაში ისინი კლასიფიცირებულია, როგორც მე-3 დონის რეალური ღირებულებები, დაუკვერველადი მონაცემების გამო.

21 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

მიჩნეულია, რომ ჯგუფის სესხების, რომელთა დაფარვის ვადა ერთი წლის შემდეგ დადგება, საბალანსო ღირებულება მათ რეალურ ღირებულებას გონივრულად უახლოვდება, რადგან სესხების ნომინალური საპროცენტო განაკვეთები ერთი წლის შემდეგ მიჩნეულია რეალური ღირებულების დასაბუთებულ მიახლოებად, საანგარიშგებო თარიღით მსგავსი საკრედიტო რისკის დონისა და დაფარვის პერიოდის სესხების, გათვალისწინებით.

მიჩნეულია ასევე, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება დასაბუთებულადაა მიახლოებული მათ რეალურ ღირებულებასთან, რადგან ამოუღებელი თანხების ანარიცხები მიიჩნევა საკრედიტო რისკის გავლენის ასახვისთვის საჭირო დისკონტირების დასაბუთებულ შეფასებად.

მიჩნეულია ასევე, რომ ჯგუფის გრძელვადიანი, დაკავშირებულ მხარეების სესხების საბალანსო ღირებულება მათ რეალურ ღირებულებას გონივრულად უახლოვდება, რადგან სესხების ნომინალური საპროცენტო განაკვეთები ერთი წლის შემდეგ მიჩნეულია საბაზრო განაკვეთის დასაბუთებულ მიახლოებად, საანგარიშგებო თარიღით მსგავსი საკრედიტო რისკის დონისა და დაფარვის პერიოდის სესხების გათვალისწინებით. გრძელვადიანი ჯგუფის მიერ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული და მათგან მიღებული სესხები რეალური ღირებულების შეფასების იერარქიის მე-2 დონეს მიეკუთვნება.

22 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისათვის ბასს-ით 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მემშვობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მემშვობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული. ამასთან, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება ქმნის ცალკე კატეგორიას. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი ზვდება დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

23 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები:

ათასი აშშ დოლარი	ურთიერთობა	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	11,539	5,565	3,072

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	13,365	8,034	7,325
სესხები, ერთ წლამდე დაფარვის ვადით	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,324	1,152	1,022
სესხები, ერთი წლის შემდეგ დაფარვის ვადით	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,567	2,890	4,042

დაკავშირებული მხარეების წინაშე სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დასაფარია შესყიდვის განხორციელებიდან ორ თვეში და პროცენტი არ ერიცხება. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთი წარმოქმნილია ჯგუფის მიერ აგენტის ურთიერთობის ფარგლებში საქონლის შესყიდვით, როგორც ეს აღწერილია 1-ელ შენიშვნაში.

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბერს და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

ათასი აშშ დოლარი	ურთიერთობა	2017	2016
ამონაგების აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	591	3,656
ამონაგები ჩამოსხმის მომსახურებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,277	4,406
მზა პროდუქციის შესყიდვა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	15,555	19,668
ფინანსური დანახარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(424)	(556)

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება სრულგანაკვეთიან ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობისთვის 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გახლდათ ძირითადად წლიური ხელფასი და ბონუსები, USD 13 ათასის ოდენობით (2016: USD 13 ათასი)

24 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ამჟამად კომპანიაში საგადასახადო შემოწმებას ატარებს საქართველოს საგადასახადო ორგანო. ისინი ამოწმებენ 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 ივნისამდე პერიოდს. ანგარიშზე ხელმოწერის თარიღით წინასწარი შედეგები ცნობილი არ იყო.

2018 წლის მაისში შეიცვალა ჯგუფის გენერალური დირექტორი..

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჯგუფი „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) სამართლიანად წარადგენს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოს (შემდეგში ერთად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რისი აუდიტი განვახორციელეთ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, როელიც მოიცავს შემდეგს:

- კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის;
- კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის;
- კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნება, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმეს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშის შემდეგ ნაწილში: *აუდიტორის პასუხისმგებლობა* კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ჯგუფისგან დამოუკიდებლობები ვართ, როგორც ამას ითვალისწინებს *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს* მიერ შემუშავებული *კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის* (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ ჩატარებული მისი აუდიტის ანგარიშს).

PrewaterhouseCoopers Georgia LLC; King David Business Center, 7th floor, #12 M. Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia, Tel: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „მმართველობის ანგარიშგება“.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენ ვალდებული ვართ წავიკითხოთ „მმართველობის ანგარიშგება“ და განვსაზღვროთ, „მმართველობის ანგარიშგება“ ხომ არ არის არსებითად არათანმიმდევრული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული ჩვენი ცოდნისა, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

ამასთან, ჩვენ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლეთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით ჯგუფმა შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

მომზადებულია შპს ფრაისვოთერჰაუსკუპერი-საქართველოსათვის და მისი სახელით (Reg.#
SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (Reg.#SARAS-A-506913)

2018 წლის 21 დეკემბერი
საქართველო, თბილისი



IDS BORJOMI
GEORGIA

შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება – საქმიანობის მიმოხილვა, 2017 წ.

1. კომპანია, მისი განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა:

ზოგადი ინფორმაცია. შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ („კომპანია“) საქართველოში დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404485053.

კომპანია არის სს „ბორჯომის #3 ჩამომსხმელი ქარხნისა“ (#3-ე ქარხანა) და „ბორჯომის #1 ჩამომსხმელი ქარხნის“ (ქარხანა #1), რომლებიც კომპანიას 2015 წლის აპრილში შეერწყაიურიდიულ მეშვედრე.

ორივე, #1-ელ და #3-ე ქარხანას საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. #1-ლი ქარხანა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელდა ამ ქარხნების პრივატიზაცია და შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ („საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის“ სამართლებრივი მეშვედრე) მფლობელობაში რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის ეტაპები გაიარა. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი 1997 წელს დაიწყო, როდესაც მოდიფიცირდა და გაუმჯობესდა წარმოებული საქონლისა და საწარმოო პროცესების ხარისხი. მეორე ეტაპი 2004 წელს დაიწყო და მის შედეგად #1-ლი ქარხნის საწარმოო სიმძლავრეების მთლიანი განახლება და მოდერნიზება განხორციელდა. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსასხმელი ხაზები და რეკონსტრუქცია ჩატარდა ქარხნის შენობებს.

კომპანიის ერთადერთი მფლობელია შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანი“ („მშობელი კომპანია“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის უშუალო მშობელ კომპანიას.

შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანი“ სხვა რამდენიმე შვილობილ კომპანიას ფლობს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, ყაზახეთში და სხვა, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან „აიდიეს ბორჯომი გრუპს“ (შემდეგში „ჯგუფი“). ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა „ბორჯომის“ ბრენდის სახელით ნატურალური მინერალური წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი და გადამამუშავებული წყლების ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინაში და დსთ-ის სხვა ქვეყნებში. ჯგუფი ჩამოსასხმელ ქარხანას ამუშავებს საქართველოში და სადისტრიბუციო კომპანიები აქვს საქართველოში, ლიტვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ჯგუფი ფლობს ბორჯომის ხეობის წყლის რესურსებისა და საქართველოს სხვა წყაროების გამოყენების ლიცენზიას.

კომპანიას აქვს ერთადერთი შვილობილი საწარმო - სს „ბორჯომი“, რომელიც თავის მხრივ ფლობს სს „ბორჯომის #2-ე ჩამოსასხმელი ქარხნის“ (#2-ე ქარხანა) აქციების 20%-ს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სს „ბორჯომის“ აქციების 98.5%-ს ფლობდა (2016 წ. 31 დეკემბერი: 98.25% და 2016 წ. 1 იანვარი: 97.97%).

კომპანიამ სს „ბორჯომის“ აქციების 93.23% და #2-ე ქარხნის აქციების 5% შპს „ეიბისი ენთერფრაისისგან“ შეიძინა 2015 წლის იანვარში. სს „ბორჯომი“ ქალაქში არსებული კომპანიაა და ამ შეძენის ძირითადი დანიშნულება იყო მშობელი კომპანიის დონეზე #2-ე ქარხნის საკუთრების წილის გაზრდა. შეძენის მომენტში მშობელი კომპანია #2-ე ქარხნის აქციების 75%-ს ფლობდა და ამგვარად, შეძენის ამ გარიგებით #2-ე ქარხანაში მშობელი კომპანიის წილი თითქმის 100%-მდე გაიზარდა. სს „ბორჯომის“ აქციების პირველი შეძენის შემდეგ #1-მა ქარხანამ და შემდეგ მისმა სამართალმემკვიდრე

კომპანიამ განაგრძეს აქციების შეძენა უმცირესობის წილის მქონე აქციონერებისგან, რის შედეგად შვილობილ კომპანიაში წილი 93.23%-დან 98.5%-მდე გაიზარდა.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს საწარმოო სიმძლავრეებს, ჰყავს გამოცდილი პერსონალი და ჩამოსხმის მომსახურებით უზრუნველყოფს შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ ქართულ ფილიალს, „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ („ფილიალი“), შესაბამისი მომსახურების შეთანხმების ფარგლებში. შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ მინერალური წყლის პროდუქციის მნიშვნელოვან წილს აწარმოებს.

კომპანია ახორციელებს ფილიალისგან შეძენილი „ბორჯომის“ მინერალური წყლის ექსპორტს უკრაინაში, კერძოდ, საქონელს ყიდის სს „ინდუსტრიალნი ტა დისტრიბუციინი სისტემიზე“ („აიდიეს“), რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა.

ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება). ადრე შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ საქონლის ექსპორტს ლიტვაშიც ახორციელებდა, შპს „აიდიეს ბორჯომი ეუროპისთვის“ („აიდიეს ეურ“) მიყიდვის მეშვეობით, რომელიც ასევე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიაა, თუმცა 2016 წლის ნოემბრიდან „აიდიეს ბორჯომი ეუროპაზე“ გაყიდვები შეწყდა. კომპანია ფილიალის გაყიდვების აგენტის როლს ასრულებს და წარმოქმნის ამონაგებს, რაც არის სხვაობა გაყიდული მარაგის თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასს შორის.

თუმცა, კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო მაინც ბოთლებში ჩამოსხმის მომსახურებაა, რომელსაც ის ფილიალს უწევს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების ფარგლებში. ჩამოსხმის მომსახურებიდან ამონაგები წარმოიქმნება ფაქტობრივად წარმოებული ბოთლების რაოდენობის საფუძველზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2016 წელთან შედარებით 2017 წელს მომსახურების გაწევიდან ამონაგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზრდამ დაახლოებით 20% შეადგინა.

ამონაგების ზრდა უმთავრესად განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ბორჯომის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე;
- ბაზარზე ახალი პროდუქტების შემოტანა: ბორჯომი თუნუქის ქილაში, ბაკურიანი ციდა ბავშვებისთვის, ლიკანი 1,5 ლ. PET ბოთლებში, და სხვა.

კომპანიის შემოსავალი პირდაპირ არის დაკავშირებული წარმოებული ბოთლების რაოდენობაზე, ხოლო მომსახურების ფასები ერთ დონეზე იქნა შენარჩუნებული ბოლო წელს.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ბორჯომი, თორის ქ. #39.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები


კომპანია აქტიურად ახორციელებს ახალი გენერალური გეგმის შემუშავებას, რომლითაც გათვალისწინებულია კომპანიის სასაწყობო ნაწილის რეკონსტრუქცია და რეორგანიზაცია. პროექტი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია, მაგრამ დამტკიცების შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოები 2019 წლიდან დაიწყება.

3. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი მაჩვენებლები შეჯამებულია შემდეგ ცხრილში:

ათასი აშშ დოლარი	2017	2016
ამონაგები აგენტის შეთანხმების ფარგლებში გაყიდვებიდან	591	3,656
ამონაგები მომსახურებიდან	5,277	4,406
მომსახურების თვითღირებულება	(2,510)	(2,342)
მთლიანი მარჟა	52%	47%
მთლიანი აქტივები	22,761	17,516
საკუთარი კაპიტალი	6,369	5,240

2016 და 2017 წლებში წარმოებული ბოთლების რაოდენობა:**ძირითადი ცვლილებების განმარტება:**

1. მომსახურების დანახარჯების ზრდას იწვევს ამონაგების ზრდა (ბოთლებში ჩამოსხმული პროდუქციის რაოდენობა). ამონაგების ზრდა ზემოთ, პირველ პუნქტში არის ახსნილი. კომპანიის მომსახურების თვითღირებულება ძირითადად მოიცავს წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯსა და პერსონალის დანახარჯებს. წარმოების მოცულობის ზრდამ განაპირობა ნამუშევარი საათების გაზრდილი რაოდენობა და ხელფასის დანახარჯების შესაბამისი ზრდა;
2. მთლიანი აქტივების ზრდა განაპირობა ფილიალის სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთის ზრდამ. პროგნოზის მიხედვით აღნიშნული დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანწილად დაიფარება 2018 წელს;
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ დღგ უნდა გადაიხადოს ადგილობრივ გაყიდვებზე, ხოლო საექსპორტო გაყიდვები გათავისუფლებულია დღგ-გან. ამგვარად, კომპანია „წინასწარ იხდის“ დღგ-ს ფილიალისგან საქონლის შეძენისას და იმავდროულად გათავისუფლებულია ამ საქონლის ექსპორტისას დღგ-ს გადახდისგან. ამ განსხვავების გამო ჯგუფს დაუგროვდა მნიშვნელოვანი ჩასათვლელი დღგ-ს ნაშთი. ეს ნაშთი გამოიყენება საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი სხვა გადასახადების დასაფარად.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა დღგ-ს აქტივის გამოყენების გეგმა. ამ გეგმის მიზანია GEL 900 ათასი ფულადი სახსრების ამოღება ყოველთვიურად. შედეგად, ჯგუფმა 2017 წელს

უკვე ამოიღო GEL 3,600 ათასი (USD 1,414 ათასი, ოპერაციის თარიღით არსებული კურსით გადაყვანისას). ამ გეგმისა და მოსალოდნელი სამომავლო გადასახადელი გადასახადების გათვალისწინებით, ჯგუფი მოელის, რომ დღგ-ს აქტივი მთლიანად ამოიღება 2018 წლის ბოლოსთვის.

4. საკუთარი კაპიტალის ზრდა გამოწვეულია 2017 წელს მიღებული წმინდა მოგებით. კომპანიას დივიდენდების განაწილების მწირი ისტორია აქვს;
5. აგენტის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდვებიდან მიღებული ამონაგების შემცირება დაკავშირებულია „აიდიეს ბორჯომი ეუროპაზე“ გაყიდვების შეწყვეტასთან. 2016 წლის ნოემბრიდან დაწყებული კომპანია ექსპორტს მხოლოდ უკრაინაში ახორციელებს;
6. როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები, თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა რაც ძირითადად გამოწვეული იყო ბორჯომის პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნით

არაფინანსური მაჩვენებლები

(i) *ურთიერთობა დასაქმებულებთან.* შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ თანამშრომლების რაოდენობა მერყეობს 330-დან 350-მდე. კომპანიაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლების დაქირავების კარგად ორგანიზებული პოლიტიკა და კომპანია ქირაობს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე პირებს.

როგორც დამქირავებელი, კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს საჭირო ინსტრუმენტებსა და სათანადო ტრენინგს, რათა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის საუკეთესო მომსახურების გაწევა. კომპანია თანამშრომლებს აძლევს წინსვლის გამორჩეულ შესაძლებლობებს, დადებით სამუშაო გარემოსა და კონკურენტულ ხელფასებს ბეჯითი, მიზანზე ორიენტირებული ადამიანებისათვის, სადაც დასაქმებულის უფლებები კარგად არის დაცული, რის მონიტორინგსაც კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტი ახორციელებს. კომპანიის წარმოება, რაც ბორჯომში მდებარეობს, ძირითადი დამსაქმებელია რეგიონში.

(ii) *ურთიერთობები მომწოდებლებთან და კლიენტებთან.* კომპანიამ მტკიცე პროფესიული ურთიერთობა ჩამოაყალიბა მომხმარებლებთან, წლების მანძილზე მზრუნველობისა და პროფესიონალიზმის დემონსტრირების მეშვეობით, რამაც გამოიწვია დაბრუნებული საქონლისა და/ან მომხმარებლის უკმაყოფილების შემცირება.

კომპანიის ძირითადი მომწოდებელი და მომხმარებელი დაკავშირებული მხარეებია, თუმცა მათთან ოპერაციები ხორციელდება სათანადო პროფესიული საფუძვლებისა და სათანადო გულისხმიერების შესაბამისად.

(iii) *ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან.* კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა კარგად არის ორგანიზებული და მართული.

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, რათა გაეცნონ საგადასახადო კანონმდებლობის იმ ცვლილებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე.

კომპანიას საგადასახადო ორგანოსთან იშვიათად ჰქონია დავები და წარსულში მასზე არ დაუკისრებიათ მნიშვნელოვანი ჯარიმები და/ან საურავები..

4. დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ბაზარზე წამყვანი პოზიცია და კომპანიის ძლიერი ფინანსური შედეგები განპირობებულია მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორით:

- კომპანიის ზედა რგოლის ხელმძღვანელობა და ჯგუფის სინერჯი: კომპანიის ხელმძღვანელობას ამ დარგში მუშაობის საკმარისი გამოცდილება აქვს და ისინი 100%-ით მონაწილეობენ ფილიალის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, რომ გაეცნონ ბიზნესში მომხდარ ცვლილებებს და შეინარჩუნონ მოქნილობა;
- წარმატებული საქმიანობისა და ჩამოსხმის მომსახურების გამოცდილება.

5. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა

საკრედიტო რისკები. კომპანია ეწევა საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ფინანსურ ზარალს მიაყენებს მეორე მხარეს. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვისა და კონტრაქტის მონაწილეობთან სხვა ისეთი ოპერაციების განხორციელებისას, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოქმნის.

კომპანიის ხელმძღვანელობამ დანერგა კონტროლის პროცედურები და პროცესები, რათა შეენარჩუნებინა დებიტორული დავალიანების ჯანსაღი ნაშთი, გამოევიდნა რისკ-ფაქტორები და დროულად მოეხდინა რეაგირება. კომპანიის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნაშთების თითქმის 100% დაკავშირებული მხარეების მიმართ წარმოიქმნება, ამიტომ კომპანია მეტნაკლებად უსაფრთხოდ არის აღნიშნულთან მიმართებით.

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკი შეიძლება იყოს საკრედიტო რისკის კონცენტრაცია და მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ერთადერთ მომხმარებელზე - შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“ ქართულ ფილიალზე, „აიდიეს ბორჯომი საქართველოზე“.

საერთო ეკონომიკური სიტუაცია ბაზარზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიას ერთადერთი მომხმარებელი ჰყავს და სპეციალიზდება მხოლოდ „ბორჯომის“ სასმელი და მინერალური წლის წარმოებაზე, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იმ ბაზრებზე, სადაც „ბორჯომის“ პროდუქცია იყიდება, ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის წარმატებული განვითარებისათვის.

შენიშვნა: კომპანია მოცემულ პერიოდში არ ახორციელებდა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ღონისძიებებს და მას არ უყიდა საკუთარი აქციები.*

კომპანიის შვილობილი საწარმო - სს „ბორჯომის წყლები“ ქაღალდზე არსებული კომპანიაა და ოპერაციებს არ ახორციელებს, ამგვარად, წინამდებარე ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები ინფორმაციას იძლევა შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ საქმიანობის შედეგების შესახებ.

შოთა ბარამიძე

გენერალური დირექტორის, გიორგი პავლოვის სახელით,

2018 წლის 13 დეკემბრის მინდობილობის საფუძველზე